# საქართველოს ქალი

1
ISSN 0321-1509
1990

ეროვნული ბიბლიოთეკა
645
1990/2



საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
(«ЖЕНЩИНА ГРУЗИИ»)

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии

მთავარი რედაქტორი
მარიკა
ბარათაშვილი

Главный редактор
МАРИКА
БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია:

ნელი ბურბენიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ნაზი თარბამაძე, ლია კაკაბაძე (პასუხისმგებელი მდივანი), ზინაიდა კვაჭაძე, ნაზი კილასონია, თამარ ლაშქარაშვილი, ქეთევან ლომთათიძე, ნინო ჟვანია, ცინარა ტერელაძე (მხატვრული რედაქტორი), ნადია შალუტაშვილი, ლუბა შეწირული, ირმა ჩოფიკაშვილი, ნინო ჯავახიშვილი, ეთერ ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი ნანული ბუკია

ყდაზე: პირველ გვერდზე — დალი კოკაია; მეოთხეზე — კოოპერატივ „ინას" მოდელები. დავით იაკობაშვილის ფოტოები

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина 14.
Адрес редакции: 380096, Тбилиси, Ленина 14.


ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით იაკობაშვილის ფოტო

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

380005, თბილისი-5, სიონის 4. ტელ. 99-69-30

ძმანო და დანო ჩვენნო,
დალოცვილნო და განსაკუთრებულნო
[illegible]!
რა მოგილოცოთ? წარსული წელი
თქვენთვის, ისევე, როგორც მთელი ჩვენი
ერისათვის, იყო მძიმე; ისევ სისხლითა და
ცრემლით მოირწყო ჩვენი დალოცვილი მიწა;
ისევ [illegible] საქართველოს [illegible],
[illegible]. საქართველოს [illegible], რადგან
[illegible] ჩვენი [illegible] და [illegible]
ღვთისმშობელმა [illegible] გადააფარა საქართველოს
თავისი კალთა. განსაცდელმა ყველა [illegible]
გაგვაერთიანა და [illegible] ღმერთთან
და ერთმანეთთან.

ძმანო, თქვენზე ბევრია დამოკიდებული,
ისევ თქვენ უნდა გადაარჩინოთ საქართველო
თქვენი თავდადებული სიყვარულით, თქვენ
უნდა გაუფრთხილდეთ სამშობლოს მომავალ შვილებს,
თქვენ უნდა ასწავლოთ თქვენს შვილებს რწმენა
ღვთისა, სიყვარული ადამიანისა, ზნეობა,
მოწყალება, თანადგომა, თავმდაბლობა,
სამშობლოსათვის თავდადება.
სიყვარულით გილოცავთ შობა-ახალ წელს.
[illegible], [illegible] [illegible]
და [illegible], [illegible] სიხარული.
ყველას გილოცავთ და [illegible]
სიყვარულით [illegible].

ჩვენთან არს ღმერთი!

+ილია II,
სრულიად საქართველოს
1/I.1990წ. კათოლიკოს-პატრიარქი.

## იმრავლოს ქართულმა ჯიშმა

# მისი შვიდი მზე



შონიების მრავალშვილიანი ოჯახი

დავით იაკობაშვილის ფოტოები




 ნაზი შონია გაკვეთილზე

რედაქციაში ხშირად მოდის საზღვარგარეთ ბარათები მრავალშვილიან დედებზე. ჩვენს თბილისელთანიან ჟურნალსაც თანდათანობით გამოაქვს სამზეოზე ყოველი მათგანის ბიოგრაფია და „საქართველოს ქალის" მრავალათასიანი მკითხველი დაუსწრებელ სტუმრებად შეჰყავს მათ ოჯახებში.

1989 წლის იანვრის დამდეგს გაიცნობს პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის (დაუსწრებელი განყოფილების) ფილოლოგიური ფაკულტეტის III კურსის სტუდენტის — ნაზი ელბაქიძე-შონიას შესახებ, რომელიც მალე მეშვიდე შვილის დედა უნდა გამხდარიყო. დღემდე ვერ მოვახწარით მკითხველისათვის მისი გაცნობა... მოვლენები კი სწრაფად იცვლება. ახლა ნაზი შონია სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედინსტიტუტის ფილოლოგიური ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტია. 1989 წლის 2 ოქტომბერს იგი პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუდგა მეხამე საშუალო სკოლაში. სკოლას აქვს რუსული ჯგუფებიც, სადაც ნაზი ქართულ ენას ასწავლის. რაც მთავარია და სასიხარულოა, მალე ის მერვე და სასურველი შვილის დედა გახდება. დიახ, სასურველის, რადგან, როცა ვკითხე, კიდევ რამდენი შვილი გსურთ-მეთქი, ასე მიპასუხა:

— ერთი ძმა მყავს და ბავშვობიდანვე მუდამ გული მაკლდა, მხოლოდ ორნი რომ ვყავდით მშობლებს. კიდილი შური მშურდა თითქოს თანატოლების, რომლებსაც სამი და მეტი ჰყავდათ დედმამიშვილი. როცა პატარას მკითხავდნენ ხოლმე, ვინ გამოხვალო, დაზიკერებლად ვპასუხობდი: ვინა და ბევრი შვილის დედა!

ახლა, როდესაც დედა ვარ და გულს მინათებს და მითბობს შვილები, ამაყად ვამბობ: ქვეყნად არ არის უფრო მეტი საუნჯე-მეთქი, ვიდრე შვილები!

— თქვენ მეკითხებით, კიდევ რამდენი შვილი გსურთო. — იმდენი, ღმერთი რამდენსაც მომცემს! ხომ გახსოვთ მცნება: არა კაც ჰკლა, მიდა, საკუთარ შვილის მკვლელი როგორ ვიქნები, ჩანასახშივე საყვარელის და სასურველის.

ჩემი ერის მრავალ სატკივართან ერთად დღეს ჩემი ერთ-ერთი სატკივარი შვილთა სიმცირეა. ნუგეშს იძლევა, რაკი მერვე შვილს ველოდები. ჩვენი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური პირობები რაიმე უპირატესობით გამოირჩევა სხვა მრავალშვილიანი ოჯახებისაგან. მაგრამ... აკი მოვახსენეთ, ჰეროვნად დედის საუნჯე შვილებია-მეთქი.

ჩემი პატარა მიმართვა ქართველი დედებისადმი, რომელსაც, ალბათ, იხილავდით გაზეთ „სახალხო განათლების" 1989 წლის 5 ივნისის ნომერში, მრავალშვილიანი დედის წრფელი გულით ნათქვამი იყო. ვფიცავ, კვლავ წრფელად მოვუწოდებ ჩვენს ქართველ ქალებს, რომ დღეს ხუთი და მეტი შვილი სჭირდება მამულს ჩვენი დედისაგან.

მე და ავთანდილი მისაღები გამოცდებისათვის ვემზადებოდით როცა შევუღლდით. მერე მან სწავლა განაგრძო, მე კი შინ დავრჩი (ასე ითხოვდა ოჯახი ჩვენი).

ექვსი შვილის დედამ შევაღე უმაღლესი სასწავლებლის კარი, დღეს უმრავლესობა სწავლობს, ან სოციალურ პირობებს იმიზეზებს, ერთი და ორი შვილის იმედად რჩება და, ჩვენდა სამწუხაროდ, ბევრი ოჯახის შექმნასაც გაურბის.

— ჩემი უფროსი ქალიშვილი ნანო მეათე კლასშია, აკაკი — მეცხრეში, ანა მეექვსეში, ნანა — მეხუთეში, მანანა — მეხამეში, ავთანდილი პირველკლასელია [illegible] სკოლაში. უფრო [illegible] მე მივედი მათ სკოლაში. [illegible] ქეთი სახლის [illegible] პირველკლასელი [illegible].

— მაგ სკოლაში როგორ მოხვდით [illegible] კარგია, რომ [illegible] თან.

— გაგიგე, ქართულის მასწავლებელი სჭირდებოდათ რუსულ ჯგუფებში. ჩემი ოცნებაც ის იყო, ქართული შემეყვარებინა არაქართველი ბავშვებისათვის. თხოვნით მივმართე სკოლის დირექტორს. ბატონი გიორგი შეუყოყმანდა... ჯერ დიპლომი არა გაქვს და ამ საკითხს მე ვერ გადავწყვეტო. ვიფიქრე, ვიფიქრე და გავბედე მინისტრთან შესვლა. პირისპირ რომ აღმოვჩნდი, ისე ვღელავდი, დაბნეულ მოწაფეს დავემსგავსე. დაწვრილებით გამომკითხა ყველაფერი, მერე ძალიან უბრალოდ და კეთილად, დალოცვილი ნახეთ მინისტრი, მრავალშვილიან დედას ყურადღებით ვერ დავუვიწყარი.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი ჟურნალის საშუალებით მადლობა გადავუხადო ბატონ გურამ ენუქიძეს გულისხმიერებისათვის.

— სკოლამ გამახსენა და უნდა გაგახაროთ! თქვენთან ჯგუფში მოსვლამდე (თქვენ რომ გეძებდით), დირექტორს მივაკითხე. ვინ გნებავთ, მკითხა ბატონმა გიორგი მჭედლიძემ. შონია ნინო-მეთქი. შონიას ექვსი შვილი ჰყავს და ერთმანეთზე უკეთესები, თქვენ რომელი გნებავთ.

— ნინო ჩემი მოსწავლეა, ყოველ მხრივ კარგი და სანიმუშო, — დასძინა სასწავლო ნაწილის გამგემ ქალბატონმა ლამარა ფხაკაძემ. მერე დერეფანში გამოსულებს მათემატიკის მასწავლებელი ზაირა წიტაიშვილი შემოგვხვდა და ყური რომ მოჰკრა დირექტორის სიტყვებს, შონიები ყველა ერთნაირად შრომისმოყვარენი არიანო, მოკრძალებულები და ჭკვიანები: მაგალითად, ძალიან მეჩქარება, მაგრამ საუბარში უნდა ჩავერთო [illegible] ვარო, [illegible] თქვენი შვილების [illegible].

— მაგათი შრომისმოყვარეობა ბავშვობიდანვე ჩანდა [illegible].

— [illegible] ნაკვეთი გვაქვს. ბოსტანი, ხეხილი. ბავშვებს ყველას თავთავისი კვალი აქვთ მისახედი, ყველა თავის ხეს ახარებს. უნდა ნახოთ, ზაფხულში როგორ შრომობენ და ფუსფუსებენ. მაგათი განათლობაც ეგ არის.

აკაკი ამ ზაფხულს ოჯახის საბჭოთა მეურნეობაში მუშაობდა. გამომუშავებული თანხა აჭარელთა დახმარების (093788) ფონდში ჩარიცხა. მიხარია, ბავშვები ფიზიკურ შრომას რომ ეტანებიან. ჯანმრთელი სულისანი დაიზრდებიან, ცხოვრებაც გაუადვილდებათ, — ბრძანა ბატონმა აკაკიმ და მართლაც, განა ჯანსაღ სულზე არ მეტყველებს ის ფაქტი, რომ მრავალშვილიანი ოჯახის ბავშვმა, საკუთარი შრომის სასყიდლად მიღებული 50 მანეთი დაზარალებულებს უწილადა.

— ახლა როგორი საოჯახო საქმე იციან ჩემმა გოგოებმა, — სიტყვა ჩამოართვა მეუღლეს ქალბატონმა ნინომ, — სადილის კეთება, ცხობა... მაგათი გაუთოვებული თეთრეული ახალთახალი გეგონებათ. რად უნდათ მაგათ მზითევი, ცივ ქვაზე დაასახლებენ კაცს, ენაცვალოთ ბებო!...

გულსავსე გამოვედი შონიების „სამფლობელოდან" და ვფიქრობდი: ღმერთო, გვიმრავლე ასეთი ოჯახები!

მინაწერი:

გული მინდოდა მრავალშვილიან მამას, ავთანდილ შონიასაც გავცნობოდი, მაგრამ იმ დღეს, საექსპლოატაციო უბანში, სადაც იგი უფროს ინჟინრად მუშაობს, რაღაც მოლები (?) დაზიანებულიყო და დამაგვიანდებათ, დარეკა ოჯახში. ველარ დაველოდე.

ნაზი თარბაშაძე



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მშვიდობა და სათნოება

გილოცავთ ქართველ დედებს, ქართველ ქალებს 1990 წელს, მრავალ ახალ წელს დაესწარით, მიგეღოთ ეროვნული თავისუფლება.

ქართველნო, გისურვებთ თქვენს ოჯახებში სიყვარულს, საზოგადოებაში აზრთა და იდეათა შეთანხმებას, მშვიდობას, გამრავლებას, დოვლათიანობას, ბედნიერებას, სიმშვიდეს, კეთილდღეობას!

ახალ წელს დილით, უთენიისას — დამაქვს ჩიჩილაკი, დავფრინავ, დავდივარ თქვენს საკარმიდამოში, საბძელში, საძროხეში, საქათმეში; საგუთნე, სავენახე, საჩაიე, საყანე მინდორ-ველ-ტყეში, ფაბრიკა-ქარხნებში, ვაზნევ ფეტვს — სიმბოლოს, სიმრავლისას, ვევედრები ღმერთს, ვთხოვ და გლოცავთ: გამრავლდით, ვითარცა დაყრილი ფეტვი მრავალი, სიყვარული, მშვიდობა, სათნოება იყოს თქვენთან; დაუმარცხებლად, უკატასტროფოდ, უსტიქიოდ ყოფნა ყველგან და ყოველთვის; დოვლათიანობა, ბედნიერება, სიბრძნე, სიმამაცე, სიუხვე, სიკეთე, კეთილდღეობა ქართველ ერს!

ასეთი დალოცვის შემდეგ მოვდივარ თქვენს ოჯახში:

— კარი გამიღეთ, მეკვლე ვარ.

— რა მოგაქვს?

— მომაქვს სიყვარული, მშვიდობა ქვეყანასა ზედა, სათნოება კაცთა შორის, სამშობლოს თავისუფლება, სიმრავლე ბედნიერებისა, შობადობისა, დოვლათიანობისა, მოსავლიანობისა, კეთილდღეობა, სიხარული, სიტკბოება, უკვდავება.

ასეთი კულტი დალოცვისა ახალი წლის შესახვედრად, ადამიანში იწვევს გულდაჯერებას, დაიმედებულობას, მით უფრო, გლეხის ოჯახია დაიმედებული; დამოუკიდებელ და დადინჯებულ შრომას რომ ეწევა. სჯერა, რომ ეს შრომა მისთვის საკეთილდღეოდ დაგვირგვინდება.

ერთ ხალხურ მითზე მოგახსენებთ: ერთხელ უთენიისას ოჯახის უფროსი ჩიჩილაკით და ლოცვით დადიოდა მის საკარმიდამოში და საბძელთან ტყაშმაფა დახვდა, — ჩვენთან უნდა წამოხვიდე, თუ არა და შენი ოჯახი მთლიანად დაინგრევაო, რაც გინდა, ერთი სათხოვარი მთხოვე შენი თავის გარდა და აგისრულებო. ოჯახში წასვლის ნება მისცა, სათხოვარის გამოკითხვისა და დამშვიდობებისათვის.

დიდი დავის მიუხედავად ოჯახში სათხოვარს ვერ მიაგნეს. გამოემშვიდობა ოჯახის უფროსი თავისიანებს და დატოვა სახლი. ამ დროს აივანზე გამორბის რძალი და ეუბნება:

— მამა, სთხოვე სიყვარული ოჯახისათვის.

მართლაც ასე მოიქცა მამაკაცი. მივიდა ტყაშმაფასთან და სთხოვა სიყვარული ოჯახისათვის.

ტყაშმაფას ეწყინა. ასეთ სათხოვარს არ ელოდა და უთხრა: რაკი ოჯახის სიყვარული მთხოვე, მე არ მაქვს უფლება შენი თავი წავართვა მათ, წადი იხეიმე და გაუშვა...

აი, რა იდუმალი ძალა, იდუმალი სათნოება, სულის სიმშვიდე და სიმშვენიერე ჰქონია სიყვარულს.

დიდი გენიოსის რუსთაველის განმარტებითაც სიყვარული დიდი განძია.

ქრისტე ღმერთის ქადაგებანიც სიყვარულზეა დამყარებული: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი", და მის წინასწარმეტყველებაშიც ნათქვამია: როცა სიყვარული ამოიწურება კაცობრიობიდან მაშინ ელოდეთ მეორედ მოსვლასო—რასაკვირველია, თუ ადამიანი ადამიანს შეიძულებს, აბა სხვა რა მოხდება?!

ამიტომ გისურვებთ სიყვარულს. სიყვარული არ ამოწურულიყოს თქვენს ურთიერთობაში, არა მარტო ქართველებში, არამედ მთელ კაცობრიობაში.

ჩიჩილაკის კულტი სრულიადაც არ ჰგავს ნაძვის ხის კულტს. ნაძვის ხის გარშემო მხოლოდ ცეკვა-თამაშია, საჩუქრების დარიგება და ბავშვების გართობა, ჩიჩილაკი უფრო ღრმა შინაარსის კულტია, დალოცვის კულტია, ხალხის კეთილდღეობის კულტია...

ჩიჩილაკი თეთრია, თეთრი სიმბოლოა სიხარულისა, სიწმინდისა, სიმართლისა. ის გამოთლილია თხილის ნედლი ჯოხიდან და ზევიდან აბურბუშებულია.

თხილის ძირიდან მრავალი ღერო ამოდის, ამიტომ თხილის ნაყოფი სიმრავლის სიმბოლოა. ჩიჩილაკი მორთულია სხვადასხვა საგნებით. მას ჰკიდია ნედლი სუროს ფოთლები და ნაყოფი — სიმბოლო სიცოცხლისა, ნაყოფიერებისა, სიახლისა: ჰკიდია აგრეთვე ბროწეული — გარეთ მთლიანი, ერთი ატლასი, შიგნით ათასი — სიმბოლო ერთიანობა-სიმრავლისა; კიდევ ჰკიდია ვაშლი, მსხალი, ტკბილეულობა; აბრეშუმის ძაფი — სიმბოლო ტკბილი ცხოვრებისა, მოსავლიანობისა...

დიახ, აბრეშუმის მოსავლიანობა! მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უწინდელი გლეხის ცხოვრებაში, შემოსავლიანობის გამო. მისი მოყვანა ძირითადად ქალებს უხდებოდათ. 16-20 დღის შრომით ოჯახი ივსებოდა სიკეთით. იშვიათი იყო სახლი, აბრეშუმის ჭია რომ არ ჰყოლოდათ.

ახალ წელს მხიარულებით, სიცილით, შრომით ვხვდებით, რათა მთელი წლის მანძილზე მხიარულად და მხნედ ვიყოთ ქართველები.

მიხეილ ძველაია,
პედაგოგი, პენსიონერი.

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება დემოგრაფიულ ფონდში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორის ფოცხიშვილი

## დარჩით!

დარჩით ცოტახანს, დარჩით,
კიდევ ცოტა ხანს დარჩით,
როგორც დილეგში, მე გთხოვთ,
მარტო ნუ მტოვებთ სახლში.

ო, მზის ჩასვლამდე მაინც,
დაღამებამდე მაინც,
გათენებამდე მაინც,
მზის ამოსვლამდე დარჩით!

წვიმით განუწულ ქარში
ხომ ვერ გაგიშვებთ გარეთ,
უნდა მოეშვათ კარებს,
დარჩით, გეთაყვა, დარჩით.

გაგიჟებამდე მაინც,
გულის წასვლამდე მაინც,
ჩემს სიკვდილამდე მაინც,
დარჩით, ლამაზო, დარჩით!

კვლავ წაგიკითხავთ ლექსებს,
არ მოგაწყურებთ ალერსს,
თითებს დაგაყრით მკერდზე
და დაგიკოცნით თვალებს.

ნუ ხრით, წამწამებს ნუ ხრით,
კვლავ ნუ მითრთოლებთ ლარებს, —
ჯერ არ დამდგარა მწუხრი,
ჯერ არც ჩასულა მთვარე.

## „დუელიანტი“

ნებისმიერ ვარიანტში
ვიწვევ
ყველაფერში ყველას, —
ხელის გულზე მელნად ვიღვრი
შენი შავი თმების მელანს.

მე თუ გკოცნი,
შენც მაკოცე,
შენც იღელვე, მე თუ ვღელავ, —
ციდან ცაზე გადაგიყვანს
მკლავეთა ჩემთა ცისარტყელა.

## პირველი კოცნა

იყო და არის,
არის და როცა
აღარ იქნება,
იქნება მაინც,
პირველი კოცნა, ისე ვით ლოცვა,
საფრენად შენსკენ
განმაწყობს რაიც.

პირველი წვიმა,
პირველი ქარი,
პირველი ცეცხლი,
პირველი პწკარი,
იყო და არის,
არის და როცა
აღარ იქნება,
იქნება მაინც!

## დედის საფლავი

ვტირი და ველარ მიტირია,
ცრემლი ქცეულა დარდად, —
ყველა საფლავი სიკვდილია,
დედის საფლავის გარდა.

ჩივის და გულს ვერ უჩივლია,
ციდან ეშვება ფარდა, —
ყველა აკლდამა დუმილია,
დედის აკლდამის გარდა.

ჰყვავის ვარდი და გლიცინია,
ხარობს დეკა და ბალბა, —
ყველა სიმღერა ქვითინია
დედის სიმღერის გარდა.

ჩემი ბუზღუნი სირცხვილია,
ჩემს ღმერთს ვუყვარვარ რადგან, —
ყველა სიკვდილი სიკვდილია,
დედის სიკვდილის გარდა!

* * *

გული არ დაგწყდეს
თუ არ დაბრუნდა,
მაშასადამე, არ ყვარებიხარ.

* * *

სულ ერთის წუთით ვთქვი —
„არ მიყვარხარ“
და გავიფიქრე —
„ალბათ მკვდარი ვარ“.

* * *

მე თუ ისევ ცოცხალი ვარ
და შენს ხიდზე ვდგევი, —
ყურადღებით,
ყურადღებით,
შენი ყურადღებით.

მე თუ ისევ სულს ვითქვამ და
გაშლილი მაქვს ფრთები,
სიმღერებით,
სიმღერებით,
შენი სიმღერებით.

და თუ ისევ ვწერ და ვხატავ
და ვასრულებ სურვილს, —
სიყვარულით,
სიყვარულით,
შენი სიყვარულით!

მუსიკა

# როცა დიდი-ნიჭი გაამშვენებს

ელისო ბოლქვაძემ 22 წლის ასაკში არცთუ ცოტა რამ მოასწრო. იგი სამი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატია — ბახის, ვიანა და მოტტას და ვან კლიბერნის სახელობის. აღიარებამაც არ დააყოვნა და ბოლო კონკურსიდან სულ რაღაც ორიოდე თვის შემდეგ იგი საგასტროლოდ მიიწვიეს იტალიაში, გფრ-სა და საფრანგეთში.

სულ ახლახან დაბრუნდა ელისო დიდი ტურნედან და რედაქციაში გვეწვია.

თუმცა სჯობს, ყველაფერი თავიდან დავიწყოთ: წლინახევრის იყო გოგონა, როცა უკვე მღეროდა, სამი წლისა სმენით აწყობდა ნაცნობ მელოდიებს და ორივე ხელით გატაცებით უკრავდა. ოჯახის მეგობრები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ ელისოს. სწორედ მაშინ მოუსმინა ეკა მუხაძემ და იქვე გადაწყდა, რომ ელისო მისი მოწაფე იქნებოდა...

ჩემს წინ მოხდენილი ქართველი ქალიშვილი ზის. საოცრად თბილი და ჭკვიანი თვალები აქვს, ხმაც ისეთივე თბილი, გულშიჩამწვდომი. თავის ამბავს მიყვება ელისო: „არა, ვუნდერკინდი არ ვყოფილვარ, მაგრამ ჩვენები გრძნობდნენ, თუ როგორ მაღელვებდა მუსიკა. ხუთი წლისა დედამ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სპეციალურ მუსიკალურ სასწავლებელში მიმიყვანა, ეკა მუხაძის კლასში. საუბედუროდ, ქალბატონი ეკა მალე გარდაიცვალა. იგი ისეთი სიყვარულით და გატაცებით მასწავლიდა, რომ სულ რაღაც წელიწადნახევარში შეძლო მყარი საფუძველი მოეცა ჩემთვის. ეკა მაია წულუკიძემ შეცვალა და ათწლედში სწავლისას არც დავცილებივართ ერთმანეთს“...

პირველსავე კონცერტს მოყვა პირველი წარმატებები. პატარა გოგონა მაყურებლის წინაშე ძალზე სერიოზული პროგრამით წარსდგა: შუბერტის „ოთხი ექსპრომტი“, ლისტის „ტარანტელა“, მოცარტის „სონატა“. მერე თანდათან სიმფონიურ კონცერტებზეც დაიწყო დაკვრა.

შემდეგ ამიერკავკასიის კონკურსში, რომელიც ერევანში გაიმართა, კონკურსგარეშე მიიღო მონაწილეობა და ყურადღება უმალ მიიქცია.

საერთაშორისო სარბიელზე პირველი გამარჯვება 1984 წელს მოიპოვა. ეს იყო ელისოსათვის, რაც თავი ახსოვს, ყველაზე ძღელვარე წუთები. ჯერ კიდევ მუსიკალური სკოლის მოსწავლემ, ლაიპციგში, ბახის სახელობის VII საერთაშორისო კონკურსის ლაურეატის წოდება მოიპოვა (VI ადგილი ერგო). ამავე წელს ჩაირიცხა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში, რესპუბლიკის სახალხო არტისტის, პროფესორ თენგიზ ამირეჯიბის კლასში.



„პედაგოგებში ბედი ნამდვილად მწყალობს... ბატონ თენგიზთან ყოფნა ენით უთქმელი ბედნიერებაა ჩემთვის“...

მერე, როცა ამერიკული პრესა დაწერს, რომ საბჭოთა პიანისტებს შორის ელისო ბოლქვაძეს ლირიკულ-პოეტური სან-

ყისი გამოარჩევს და ყველაზე მუსიკალურია, რომ მისი ინსტრუმენტი არაჩვეულებრივად ჟღერს, ეს სიტყვები აღარც გაგვიკვირდება, რადგანაც ელისო თავად რომანტიკოსი პიანისტის, თვალსაჩინო პედაგოგის, კონსერვატორიის პროფესორის თენგიზ ამირეჯიბის აღზრდილია, პედაგოგისა, რომელმაც პიანისტების ძლიერი სკოლა შექმნა და ლაურეატების „ლაშქარი“ აღზარდა, მარტო მანანა დოიჯაშვილი და ალექსანდრე კორსანტია რად ღირს!

„მე და საშამ მეტისმეტად გადავღალეთ ბატონი გიზი, ეს ხუთი წელია ერთმანეთს ვენაცვლებით კონკურსებში და ჩვენი აღმზრდელიც ჩვენს თითოეულ გასვლას თავისი სულისა და გულის ნაწილს ატანს. არ ვიცი, როდისმე თუ გადავიხდი მის ამაგს, რომ არა ბატონი გიზი, მე ვერაფერს, ვერაფერს მივაღწევდი. რამდენი მღელვარე წუთები აქვს გადატანილი ჩემს გამო...“

ალბათ როგორ ღელავდა თენგიზ ამირეჯიბი, როცა ელისო ლისაბონში გაემგზავრა ვიანა და მოტტას სახელობის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. ამაგს ვერ გადავიხდიო, თქვა ელისომ, არადა, როცა ამ პრესტიჟულ კონკურსში გაიმარჯვა, განა ეს ამაგის გადახდა არ იყო საყვარელი პედაგოგისთვის? 16 ქვეყნის 75 წარმომადგენელი ღებულობდა მონაწილეობას ამ კონკურსში. მეორე ადგილი ხვდა წილად მაშინ ელისოს, პირველზე 18 წლის პორტუგალიელი არტურ პიზარო გავიდა.

სოლო კონცერტზე ელისო რთული და მრავალფეროვანი პროგრამით წარსდგა. შოპენის „დიდი ბრწყინვალე პოლონეზი“, რაველის სამი პიესა ციკლიდან „ანარეკლები“, სკრიაბინის მეორე სონატა-ფანტაზია და პროკოფიევის მეორე სონატა. გარდა ამისა, შეასრულა მოცარტის კონცერტი ლისაბონის მუსიკალური ცენტრის კამერულ ორკესტრთან ერთად, ხოლო ამერიკის შერთებული შტატების სიმფონიური ორკესტრის თანხლებით დაუკრა სენ-სანსის მეორე საფორტეპიანო კონცერტი. ამას დაუმატეთ პირველი ორი ტურის პროგრამაც... რამდენი მოწვევა მიიღო მაშინ. მუსიკალური სამყარო ახალ ტალანტზე ალაპარაკდა.

მეორე დიდი სიხარული თენგიზ ამირეჯიბს ელისომ ამერიკაში, ქალაქ ფორტ-უერტის (ტეხასის შტატი) ვან კლიბერნის სახელობის საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობისას აჩუქა. იგი საქართველოში ლაურეატი დაგვიბრუნდა. ეს კონკურსი ურთულესად ითვლებოდა, რადგან სავალდებულო პროგრამა ითვალისწინებდა სხვადასხვა ეპოქის, ჟანრის, სტილის ნაწარმოებების შესრულებას. პროგრამა მოიცავდა ბახის, ბეთჰოვენის, ლისტის, შოპენის, პროკოფიევის, რაველის, სენ-სანსის, ფრანკის ნაწარმოებებს, აგრეთვე საგანგებოდ ამ კონკურსისათვის დაწერილ თანამედროვე ამერიკელი კომპოზიტორის უილიამ შუმანის „ვარიაციებს ფორტეპიანოსათვის“. ამ კონკურსში საბჭოთა პიანისტებს კარგახანია არ მიუღიათ მონაწილეობა. ელისო პირველი საბჭოთა პიანისტი ქალია, რომელიც ფინალში გავიდა. ეს საამაყოა, რადგანაც კონკურსში ძირითადად ვაჟები მონაწილეობდნენ.

ბევრი ქვეყანა დაინტერესდა ელისოს საფორტეპიანო შემოქმედებით. იქვე გადაწყდა, რომ ელისო მომავალი წლისათვის კონცერტს გამართავდა კვლავ აშშ-ში, იაპონიაში, აგრეთვე მონაწილეობას მიიღებდა საფრანგეთისა და პოლანდიის საერთაშორისო ფესტივალებში.

„მე ამ კონკურსში მეორე ადგილს მოველოდი, მაგრამ რაღაც შემთხვევის წყალობით ორკესტრი ვერ მომყვა, ორი ტაქტით გვიან შევიდა, არ დავბნეულვარ, გავუძელი გამოცდას, დროზე „დავიჭირე“ ორკესტრი, მსმენელს არც გაუგია არაფერი, მაგრამ ამ შემთხვევამ მაინც იმოქმედა ჩემს წარმატებებზე. ისე კი, გულახდილად რომ გითხრათ, დღემდე ვერ ამიხსნია, რა მოხდა იქ, რამ გამოიწვია ყოველივე — ბრმა შემთხვევა იყო თუ გამიზნული?.. საბედნიეროდ, უცხოეთის იმპრესარიოები, თუ ვინ რომელ ადგილზე გავიდა, ამ ფაქტს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ, მათთვის მთავარი ის არის, ვინ როგორ უკრავს. ასე შემამჩნია იმპრესარიომ, კონჩერტო ვინდერშტეინის წარმომადგენელმა და მიმიწვია კიდევაც. სწორედ ახლა მისი მიწვევით დიდი ტურნე მქონდა სამ ქვეყანაში — იტალიაში, გფრ-სა და საფრანგეთში. კონცერტები გავმართე მილანში, მიუნხენში, ლუდვიგ-ჰაფენში, მაინის ფრანკფურტში და ბოლოს პარიზში“.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ელისო პირველი ქართველი პიანისტია, უფრო მეტიც, პირველი საბჭოთა პიანისტი, რომელმაც ლუვრში გამართა კონცერტი.

მესამედ გადაუხადა ამაგი ელისომ თავის საყვარელ მასწავლებლებს. ამას მოწმობს ამ ქვეყნებიდან გამოგზავნილი პრესა, ქართველი პიანისტის სადიდებლად საქებარ სიტყვებს რომ არ იშურებს...

ოცდაორი წლის ელისომ, ვისაც მეგობრების გარეშე ჩვენთან ნაბიჯიც არ გადაუდგამს, ამდენი უცხო ქვეყანა მოიარა და ქალაქიდან ქალაქში მარტოდმარტო მგზავრობდა.

„არ გეშინოდა?“

„ამას ყველა მეკითხება. ეს მკითხა პირველად ზურაბ სოტკილავამაც, მილანში რომ მნახა. მაშინ ლასკალას დიდი თეატრი მასპინძლობდა. ბატონი ზურაბი მეუღლითურთ დაესწრო ჩემს კონცერტს, ლასკალაშიც მიმიპატიჟა, დამათვალიერებინა“.

„ყველაზე დიდ შთაბეჭდილება ამ მოგზაურობიდან?“

„მიუნხენში გავმართე ძირითადი კონცერტი, ჰერკულეს შოუს დარბაზში, ვშიშობდი, ამ დარბაზს რა შეავსებს-მეთქი, მაგრამ იმდენი ხალხი მოვიდა, ტემსი არ ჩავარდებოდა. ეს ფირმის რეკლამის წყალობა იყო. გერმანელებზე ამბობენ, თავშეკავებული ხალხიაო, მე ასეთი გულთბილი ხალხი არ მინახავს. წუთით არ მტოვებდნენ მარტო... მომეწონა ლუდვიგს-ჰაფენი, პატარა, მყუდრო ქალაქი, ბოლო კონცერტი კი ფრანკფურტში გავმართე, მოცარტის დარბაზში (ძალზე პოპულარულია). იქაც ყველგან ბისზე გავყავდი მაყურებელს... შემდეგ პირდაპირ საფრანგეთში გავემგზავრე. პარიზი ხომ ჩემი ოცნების ქალაქი იყო, ასეთადვე დარჩა. მან ჩემზე ისეთი წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა, ჩემი კონცერტები აღარც მახსოვდა. კონცერტებზე ერთი და იგივე პროგრამით გამოვდიოდი, ამან ცოტა არ იყოს, დამღალა“.

„რა პროგრამა გქონდა?“

ბახის „იტალიური კონცერტი“, სკრიაბინის სონატა „ფანტაზია № 2“, პროკოფიევის „სონატა № 2“, შოპენის მე-4 სკერცო“.

...ელისო ახლა ასპირანტურაში აბარებს გამოცდებს, კვლავ თენგიზ ამირეჯიბი იქნება მისი პედაგოგი.

„მიხარია, რომ ეს ასეა, ბატონ თენგიზთან ყოველი გაკვეთილი ჩემთვის დღესასწაულია, მიუხედავად იმისა, რომ ძალზე მკაცრია. იმდენ დავალებას მაძლევს, ნახევარიც რომ შევასრულო, ბედნიერი ვიქნები. ბატონ გიზის დედაჩემიც „ეხმარება“ (ცნობილი ჟურნალისტი ნანა დარჩია). ასე რომ, ბევრიც მოვინდომო, ვერ გავზარმაცდები“...

თავად თენგიზ ამირეჯიბი კი ელისოს ასეთ შეფასებას აძლევს: „მას არაჩვეულებრივი პიანისტური შესაძლებლობები აქვს. არც კი ვიცი, არსებობს კი მისთვის რაიმე ტექნიკური სიძნელე — ვფიქრობ, რომ არა, მის დაკვრაში ნათლად ვლინდება მისი ადამიანური თვისებები, ფაქიზი ინტუიცია, მკაფიო ტემპერამენტი და სულიერი სისუფთავე. თვით შესრულების მანერა გვიზიდავს ბუნებრივობითა და სისადავით. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ელისო არაჩვეულებრივად გრძნობს მსმენელს და აქვს საუცხოო პროფესიონალური მახსოვრობა, მაღალი თვითდისციპლინა, ყველა ეს თვისება გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ ელისო ბოლქვაძის სახით გვეყოლება მაღალი რანგის მუსიკოსი“.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თენგიზ ამირეჯიბი საქებარი სიტყვებით თავის მოწაფეს არ ანებივრებს, მაშინ მისი ეს შეფასება მართლაც რომ ბევრისმეტყველია, ელისოსათვის კი ყველაზე მთავარი.

მანანა ზარიძე

რევაზ ინანიშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფიფქები რომ ცდილობენ დამალვას

მოთხრობა

მხატვარი კარლო ფაჩული

სიცხიანი ვუზივარ მაგიდას, წამით გაბრწყინდება ყველაფერი, აწკრიალდებიან წვრილი ზანზალაკები, დახარბებული ვსუნთქავ... მერე ისევ ნელ-ნელა იწყება მოღრუბლვა.

ეს იყო ჯერ კიდევ მაშინ, მწერლებისა და მკითხველების ორგანიზებული შეხვედრები კარგი განწყობილებებით რომ მთავრდებოდა ხოლმე. მკითხველებიც, უფრო ზუსტად — მსმენელებიც, კარგ გუნებაზე იყვნენ, მწერლებიც.

მე, ერთ-ერთი ასეთი შეხვედრის მონაწილე, ფეხით დავუყევი დალმართს ფილარმონიის პატარა დარბაზიდან ვარაზის ხევისაკენ. მარტო არ ვიყავი, ერთი თანაკურსელი ქალი მომყვებოდა და ერთიც მისი მეგობრის შვილი, 17 წლის გოგონა, რომელიც, ჩემი თანაკურსელის აზრით, მშვენიერ ლექსებს წერდა.

თქმა ამისა, რომ გოგონა მშვენიერ ლექსებს წერდა და კარგი იქნებოდა, მე მომესმინა, თუნდაც ასევე, სიარულის დროს... თქმა ამისი და თოვლის წამოსვლა ერთი იყო. მერე როგორი თოვლისა! მილიონობით ფაფუკი ფიფქი აჩქარებული ტრიალ-ტრიალით რომ ეშვებოდა მიწისკენ. ზამთარი ჯერ მხოლოდ იწყებოდა, თოვლს არავისთვის შეეპეზრებინა თავი და ქუჩა გახარებული ადამიანების ხმებით იყო სავსე. ორიოდე წუთში თოვლიანი კარნავალის მონაწილეებს დავემსგავსეთ. მხრები კიდევ გაუძლებდა ასეთ რამეს, ქალიშვილის შიშველი თავი? სიცილით იბერტყავდა მოკლე თმას. მაშინ ამოვიღე მთლად უხმარი ცხვირსახოცი, — დიდი ცისფერი, მუქი ლურჯი ზოლებით, — მოვახვიე თავსახვევად. და ბოლოები ნიკაპთან შევუკარი. ისე მოუხდა, ისეთი კარგი იყო ამ ცისფერი ცხვირსახოციდან გამომზირალი მისი მოცისფრო თვალები და ზეაწეული, აწითლებული პატარა ცხვირი, ცას ვეხვეწებოდი, თოვლი არ გადაელო. მაგრამ ცამ არ შეისმინა ჩემი მუდარა. გადაიღო, თანაც უცებ, გოგონამ ცხვირსახოცი მოიხსნა და დახათრებული ღიმილით მითხრა:

— ასეთი სველი როგორ დაგიბრუნოთ?

— ნურც დამიბრუნებთ, არც უნდა დამიბრუნოთ.

— უი, რას ბრძანებთ! ცხვირსახოცმა შეჯავრება იცის.

— მომეცით ხუთი კაპიკი და ყველაფერი რიგზე იქნება.

— არა, არა.

ცხვირსახოცი თანაკურსელმა ქალმა გამომართვა, დაკეცა, დაკეცა, დატკეპნა ხელისგულებით და ისე გამომიწოდა.

— ზარალი — ზარალი იყოს, ბარემ მოგვისმინე ერთი-ორი პატარა ლექსიც.

— კარგით რა! — წითლდებოდა გოგონა.

— ვისმენ, დიდი გულისყურით ვისმენ, — შევჩერდი. თითო-ოროლა ფიფქილა ჩამოდიოდა უკვე გაშავებული ტროტუარების ზემოთ, ხეები შეჭრელებული იყო, და გოგონამ ხელების უკან გატანით თქვა: სალამი თქვენ, მშვენიერო ფანტელებო, ჩვენ სიხარულით გხვდებით, მაგრამ თქვენი სილამაზით, თქვენი უმანკოებით, და წამიერებაში გაქრობით, რა გაკვეთილებს გვაძლევთ ჩვენ, ადამიანებს?!

— ოო! — ვთქვი მე.

გოგონამ კიდევ ერთი ლექსი თქვა:

— რამ გვიკარნახა, სად ვისწავლეთ, სახლებისა და ქუჩების ასე გაწყობა, სახლები დგანან, ქუჩებიც დგანან, ხეებიც დგანან მორჩილად. მხოლოდ ჩვენ დავრბივართ, ჩვენა და ჩვენი მანქანები, შემაშფოთებელი უძრაობის ამოსავსებად.

ჩემს თანაკურსელს ვუთხარი, გოგონა ჩემთან მოეყვანათ, რედაქციაში.

— თვითონვე მოვა, ლუიზა ყოჩალია.

— კეთილი და პატიოსანი! ძალიან კარგი პირი უჩანს თქვენ ლექსებს.

გოგონა კიდევ უფრო აწითლებული იყო, ძლივას გამომიწოდა გამოსამშვიდობებლად ხელი. ისინი ვაკისაკენ წავიდნენ, მე საბურთალოსაკენ.

გავიდა რამდენიმე თვე, უკვე გაზაფხულდა. გოგონა ჩემთან არ მოსულა. ვფიქრობდი, რომ იმ შეხვედრის შემდეგ გულმა აღარ გამო-

უწია ჩემკენ. მაგრამ ერთხელ, შესვენებისას, ჩემს მეგობართან ერთად რომ ჩამოვედი დაბლა, გოგონა პირისპირ შემეფეთა, თუმცა სულ სხვანაირად ეცვა, — ჯინსის შარვალი და რიპსის ქურთუკი, — მე ის მაშინვე ვიცანი. თურმე ჩემთან იყო მოსული, რედაქციაში აპირებდა ამოსვლას, შევფიქრიანდი: მე და ჩემს მეგობარს განზრახული გვქონდა ქუჩა გადაგვეჭრა და მახლობელ ახალგახსნილ ბარში ხინკალი დაგვეგემოვნებინა. ფრთხილად შევთავაზე, ხომ არ გამოიღებდა მოწყალებას და დაამშვენებდა ჩვენს მცირე ტრაპეზს სულ რამდენიმე წუთით?! წამით შეყოყმანდა, მერე გამოგვყვა.

ჩემი მეგობარი პოეტი იყო, უკვე ცნობილი, თავმომწონე პოეტი. როცა ვუთხარი, ლუიზა მშვენიერ ლექსებს წერს-მეთქი, გაიხარა.

შევედით ბარში, ავიღეთ ხინკლები, კონიაკი. ჩვენ ჭიქები შევივსეთ იმ კონიაკით, ლუიზასაც დავუსხით, რა თქმა უნდა, სიმბოლურად. დავლიეთ... ლუიზას ეცინებოდა, იმანაც შეახო ტუჩები ჭიქას. ჩემმა მეგობარმა პირველსავე ჭიქას მოაყოლა ლექსი — ვითომ ხუმრობით, ვითომ აგდებულად... მაგრამ მაინც გატაცებით უსმენდა ლუიზა. ცნობილია, როგორ ლექსებსაც ამბობენ ხოლმე პოეტები ასეთ დროს. პირველად: პოეტზე უბედური და თანაც ბედნიერი კაცი არ დადის ქვეყანაზე. წარმოვთქვით მეორე სადღეგრძელოც, ჩვენ დავლიეთ, ლუიზამაც დალია ახლა უკვე ცოტა მეტი. ჩემი მეგობარი ამბობდა ხან თავის ლექსებს, ხან სხვისას. ლუიზა თვალებად იყო ქცეული. და ჩემმა მეგობარმა რომ დაიწყო: „ჩვენ ვიგონებდით გოტიეს გმირ ქალს, ქალიშვილს, ლამაზს მადლენ დე მოპენს, რომლის წკრიალა და უდარდელ ხმას რომანტიული ჟღერა მიმოფენს“, ლუიზა უცებ ამაღლდა, მიუბრუნდა დარბაზს და მოულოდნელი ძლიერი ხმით გადასძახა:

— ჩუმად, ჩუმად, დებილებო, კრეტინებო!

მე არ შევსწრებივარ ჰაერში აფეთქებულ ბომბს ასეთ ადგილებში. ალბათ, ამაზე მეტი სიჩუმე არ ჩამოვარდებოდა აფეთქების შემდეგ. ყველანი ჩვენსკენ იყვნენ შემობრუნებულნი. ლუიზამ ჩემს მეგობარს უთხრა:

— განაგრძეთ.

ჩემს მეგობარს ნამღვილი თავზარი ჰქონდა დაცემული. ლუიზა ისევ სთხოვდა:

— განაგრძეთ. განაგრძეთ რა!

ჩემმა მეგობარმა ხელი მოჰკიდა გოგონას და ბარის კარისაკენ წაიყვანა. გავყევი მეც. გარეთ გასულმა ლუიზამ, ჩემს მეგობარს უთხრა:

— თქვენც ლაჩარი ხართ, როგორც იმ დარბაზში ყველა?

ჩემმა მეგობარმა ერთი შემომხედა, ლუიზას მკლავი შემომაჩეჩა, თავად მიბრუნდა და ჩქარი ნაბიჯით მიგვატოვა.

ლუიზას არეული თვალები ახლა მე მომჩერებოდნენ.

— თქვენც მთლად ცახცახებთ შიშით. თქვენც წადით, — შეეცადა ჩემი ხელი მოეცილებინა მკლავიდან, — ყველანი წადით, შეძვერით... თქვენს საწოლებს...

მილიციის ოფიცერი გვიყურებდა არასასიამოვნო თვალით. ბედზე ტაქსი მოვიდა, გავაჩერებინე, ჩავსვი, მეც გვერდით მივუჯექი და მძღოლს ვუთხარი:

— ვაკე! — გამახსენდა პირველი შეხვედრისას ვაკისაკენ რომ წავიდნენ.

— საით მივდივართ? — იკითხა ლუიზამ.

— ვაკეში არ ცხოვრობთ? გაეცინა.

— არა.

— აბა?

— ვაკეში ჩვენისთანებს რა უნდათ? ორთაჭალაში.

— მოვბრუნდეთ?

— მხრები აიჩეჩა.

მოვაბრუნებინე მანქანა, ლუიზა იჯდა ხელებგადაშვებული, ცუდად გალიმებული.

— პარტკომია თქვენი მეგობარი სამსახურში?

— კიდეც რომ იყოს?!

— მე ვხედავ როგორი შეშინებული ყვება ჩვენს ამბავს.

— ნუ ვიქნებით ნამეტანი მკაცრი.

— თქვენც, უფალო ჩემო, მიმიყვანეთ აბანოთუბანში და თქვენც თავისუფალი ბრძანდებით. ან... გნებავთ, აქვე ჩამომსვით. აქვე ჩამოვალ. გააჩერეთ! გააჩერეთ რა! ხელით შეეხო მძღოლის მხარს. მძღოლმა სვლა შეანელა. არ გავაჩერებინე, ჩავედით აბანოთუბანში, ტაქსი იქ გავუშვი. ლუიზა წინ გამიძღვა, ერთმანეთზე გადმომდგარი პატარ-პატარ სახლები, პატარა ეზოები. მოსახლეობა — უმთავრესად მუსლიმანები. ერთ პატარა ეზოში ქალები წეწავდნენ მატყლს. დაინტერესებულ, გამწყრალ თვალებს მოგვადევნებდნენ ლუიზას და მე. ლუიზა მივიდა ერთ კართან. დაკეტილი დახვდა. ვიღაცა გოგომ თათრულად დაუძახა, რაღაც, ლუიზამ ხელი ასწია.

— ძალიან, ცუდია, დაკეტილი როა, — მითხრა მე.

— წამლის გამყიდველია?

— აუჰ, ყბები გიცახცახებთ შიშით..., არა. გრძნეული გოგო... ის უნდა ნახოთ, მოყოლით ვერაფერს დაინახავთ.

გამოვბრუნდით, ჩამოვედით დაბლა, მივედით მტკვართან, მოაჯირს დაყრდნობილები გადავყურებდით გაზაფხულზე ადიდებულ, შესქელებულ წყალს.

— რა კარგია, რა ნაღდი, — თქვა წყალზე.

გაკვირვებით შევაჩერდი.

— დაუკვირდით. მოდის, მოაქვს, როგორც თვითონ უნდა, ძლიერი მხრები.

— შენ უნდა გენახა წინათ, დაგუბებული რომ არ იყო და ლოდებში იჭრებოდა, აგერ ზემოთ.

— ახლაც მშვენიერებაა, იმ მხრებშიც...

— წამიკითხეთ თქვენი რომელიმე ლექსი.

— არა, დღეს არა. დღეს... სუფთა გიჟი გგონივართ არა?

— პირიქით.

— როგორ, პირიქით? ჭკვიანი?

— გაბრაზებული.. თუმცა ვინ აღარ არის გაბრაზებული ახლა.

— იცით, არც მთვრალი ვარ, არც მაგ სიბრაზით ტვინარეული, მაგრამ ზოგჯერ მაინც... ნუთუ თქვენც არ გემართებათ ასე, ზოგჯერ მაინც არ გეჩვენებათ, რომ უგუნურება, უმეცრება ტრიალებს, ირევა, ხორა-ხორა გადადის ერთმანეთზე, და ნუთუ არ მოგინდებათ ყვირილი, გაჩერდით, უგუნურებო, დებილებო, კრეტინებო!

ტირილი აუტყდა.

— წამიყვანეთ ელიაზე.

გავაჩერებინე მანქანა, ჩავსხედით, ავედით ელიაზე. ჩამომართვა ხელი, დიდი მადლობაო, დიდი ბოდიში, შინ ვერ გეპატიჟებითო. მიბრუნდა. ცოტაც და ჭერმებიც აყვავდებოდა ამ უბანში.

წლები გავიდა იმ დღის შემდეგ. ლუიზა აღარსად შემხვედრია. წლების შემდეგ შემხვდა. ერთი ხელით პატარა გამხდარი ბიჭის ხელს ჩასჭიდებოდა. — ბიჭი თავისკენ ეწეოდა, — მეორეს პირზე იფარებდა, კბილები ჰქონდა საშინლად დაზიანებული. გამხდარი იყო, გაყვითლებული. აშკარად რაღაცის თქმა უნდოდა ჩემთვის. ბავშვი ეწეოდა იმდენად ღონივრად, თქმის საშუალება არ მისცა. წავიდნენ ჩქარა, თითქოს ვიღაცეებისგან დევნილნი.

მე ვიდექი....

მინდოდა დამეყვირა, მაგრამ არ ვიცოდი — რა.

მომეჩვენა, თუ მართლა ასე იყო — თითები ცდილობდნენ დამალვას.

# თუშების სახელოვანი რძალი



ნარგიზა ილურიძე ესაუბრება ბრიგადის წევრებს

ისევ მობრძანდა ახალი წელი თუშების მშვენიერ და ლონიერ სოფლებში, ზემო და ქვემო ალვანში. შარშანდელი წელი მშვოთვარე და ტკივილიანი გამოდგა მთელი საქართველოსათვის. დარდიანი და ცრემლიანი იყო იგი აქ, ალაზნის ველზე გაშლილ სოფლებშიც. ზეზვას შთამომავლები მაინც კეთილი მომავლის იმედით ცხოვრობენ. გაფრინდაულის მამულიშვილობით მოპოვებული ალაზნის სანაპირიდან ზევით, სამი კილომეტრის სიმაღლეზე გაშენებულ ნამდვილი თუშეთის სოფლებამდე, დიდი თუ პატარას ერთი მთავარი ტკივილი არ ასვენებს. ყოველი ფიქრი მამულის ბედ-იღბალს დასტრიალებს. ეს არის ოცნება ისეთ საქართველოზე, რომ „ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნეს". თუშები ამის შესახებ ფიქრობენ ჭირის ჟამს თუ ლხინის დროს. ფიქრობენ საცხოვარ ჰერქვეში, თუ აქ, სადაც შრომობენ და მოსყავთ პური არსობისა. მამულის დღევანდელ თუ ხვალინდელ ბედ-იღბალზე წუხან ქვემო ალვანის საბჭოთა მეურნეობის მელიორაციის პირველ სანაშენო ბრიგადაში, სადაც მეტწილად ქალები, უფრო სწორად, დედები შრომობენ. მათი ფიქრი ერთად მღელვარეა და კამათი ერთობ ცხარე.

— დღევანდელი ქართველი თავისი და წინაპრის კეთილი გულითა თუ დაუდევრობით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

— ერმა გაიღვიძა, აღსდგა. ეს არის ლტოლვა უკეთესი მომავლისაკენ. მამულის ერთობისა და ძლიერებისაკენ.

ერთი სიტყვით, ბრიგადირ ნარგიზა ილურიძესა და მის დობილებს ყოველდღიური შრომითი საზრუნავის გარდა უფრო დიდი განცდები მოემატათ.

— ეროვნული აღორძინების ჟამს არ უნდა დაგვავიწყდეს ერთ-ერთი ძარღვი ჩვენი მომავალი კეთილდღეობისა, — გვითხრა ნარგიზა ილურიძემ. — მეშინია, რომ ისე არ ვშრომობთ, როგორც გვჭირდება. თავისუფლებას დიდი ეკონომიკური საფუძველი უნდა. მაგრამ, ვფიქრობთ, თავისუფლებაზე, ეკონომიკური საფუძველი კი გვავიწყდება. ამ მხრივ საქართველოს საქმე სულ უფრო მძიმდება. ამბობენ, დაგვემუქრებიანო. ერი, თუ მას სრულყოფილი დამოუკიდებლობა სურს, სხვისი იმედით არ უნდა დარჩეს. ჩვენ თუ გადაგვარჩენს გონიერება და, კიდევ, გონივრული შრომა.

ქვემო ალვანის მელიორაციის ფერმის ბრიგადირს ნარგიზა ილურიძეს ამგვარი ლაპარაკის უფლება აქვს.

იგი „საპატიო ნიშნის" ორდენოსანი და სახელმწიფო პრემიის ლაურეატია, რაც თავისთავად იმას ნიშნავს, რომ გამორჩეული მშრომელი ქალია. მისი თაოსნობით ბრიგადაში სანაშენე მოზარდი გამოჰყავთ და რესპუბლიკის მეურნეობის ფერმებს ამარაგებენ. შარშან, 1989 წელს, 97 ტონის ნაცვლად ბრიგადამ 200 ტონა ხორცი მისცა ქვეყანას. წარმოების გეგმა 206 პროცენტით შესრულდა. ნამატის გეგმაც დიდი გადაჭარბებით — 150 პროცენტით გაანაღდეს, ანუ 2180-ის ნაცვლად მიიღეს და გამოზარდეს 3350 გოჭი. რაც შეეხება სანაშენე მოზარდს, 550 სულის ნაცვლად 718 გოჭი გაყიდეს.

თექვსმეტი გამრჯე მშრომელის ბრიგადამ 460 ათასი მანეთის ხორცი აწარმოა. თუ ამას მივუმატებთ სანაშენე მოზარდეულის გაყიდვით მიღებულ 281 ათას 348 მანეთს, [illegible] მეურნეობითა და [illegible] ანად ხარჯვით დაზოგილ 87 ათას მანეთს, ძნელი აღარ არის იმის დადგენა, რომ ნარგიზა ილურიძემ და მისმა თანამოაზრეებმა ქვეყანას 828 ათასი მანეთი [illegible].

ერთი ბრიგადისთვის კი არა, რამდენი საზოგადოებრივი მეურნეობისთვის არის სანატრელი ასეთი სიმდიდრე. გარჯას, მხოლოდ შრომას მოაქვს ბარაქა და კეთილდღეობა.

ნარგიზა ილურიძე თუშების, გოჩილაძეების სახელოვანი რძალია.

ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში ერთად სწავლობდნენ ქართლელი, სამთავისელი ქალიშვილი ნარგიზა ილურიძე და თუში ალექსი (ზეზვა) გოჩილაძე. ქალ-ვაჟს ერთმანეთი შეუყვარდათ და სტუდენტობისას შეუღლდნენ. მეხუთე კურსზე უკვე ელისო ჰყავდათ. დღეს ელისო „თუშების ინსტიტუტის" — ზოოვეტერინარიის პირველი კურსის სტუდენტია. სოფიკო წლეულს ამთავრებს საშუალო სკოლას. დავი — მეცხრე კლასის მოსწავლეა.

ნარგიზას ოჯახი მეუღლის პაპის, დიდი ალექსი გოჩილაძის ნაფუძვარზე, მის აშენებულ სახლში ცხოვრობს. ეს სახლი ისტორიული ძეგლივით არის. 800 სული ცხვრის პატრონს ალექსი გოჩილაძეს კორია ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში გაუშენებია. დღეს ალვანში დიდი ორსართულიანი სახლით ვის გააკვირვებ, მაგრამ გოჩილაძეების სახლკარის მნახველი უთუოდ იტყვის, რომ ამ ცხონებულ თუშ მეცხვარეს დიდი გემოვნება ჰქონია. დღესაც ცოდვაა, ამ სახლს რაიმე მიუმატო ან გამოაკლო. ნარგიზას უყვარს და უფრთხილდება ნამდვილ რელიქვიას, შვილების წინაპრების აშენებულ სახლს. მას ეამაყება სახელი პატარა გოჩილაძეების იმ დიდი პაპისა, რომელმაც სოფელს თავისი ხარჯით სარწყავი არხი გაუყვანა, დღესაც „გოჩილაძეების არხს" რომ უწოდებენ. ალექსი გოჩილაძე მა-[illegible] სულის მშვენიერებას და სიკეთეს არ ყოფილა [illegible], რომელშიც მას მონაწილეობა არ მიეღოს.

რაც დედამ იცის შრომის ფასი, [illegible] თებით გაზარდოს, ამ გზით წაიყვანოს. მაგალითს ხომ თვითონ იძლევა. ყველას უკვირს მისი მადლიანი ხელგარჯილობა. შრომა ფერმაში, ოჯახში, ქმარ-შვილის მოვლა, მამამთილზე ზრუნვა. შარშანწინ ამაგდარი დედამთილი ხელიდან გამოეცალა და საქმე უფრო დაემძიმდა. მაგრამ თუშების რძალი არ შემდრკალა. პირიქით, მეუღლეს დიდად შეუწყო ხელი და ზეზვამ საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა.

და ამდენ გარჯასთან ერთად ნარგიზა ილურიძე იმასაც ახერხებს, რომ ყოველთვის იკითხოს წიგნი. მშვენივრად იცნობს ქართულ და რუსულ კლასიკურ ლიტერატურას. მოგეწონებათ მისი საუბარი თანამედროვე მწერლობაზე. მიაჩნია, რომ საინტერესო და თავისთავადი მწერალია რევაზ ინანიშვილი.

იგი უპირველესად მაინც ქართველი ქალია, ქართველი დედა და გულის სიღრმემდე სტკივა თავისი მამულის ხვე-ბედი. როგორი იქნება საქართველო წლეულს, გაისად? მომავალში?

ქმარს ეხვეწება: მოდი, სოფელ დოჭუში შენი წინაპრების სახლი აღვადგინოთ. ჩემი წლევანდელი გასამრჯელო ათი ათასი მანეთი თამამად გვეყოფაო. ზაფხულში თუშეთს რა სჯობია, ბავშვებსაც ძალიან უყვართ იქაურობაო. მაგრამ ვინ იცის, რა აფორიაქებს დედას, რატომ მოუნდა შარშან დოჭუში სახლის აგება. და ახალ 1990 წელსაც ამაზე რად ოცნებობს.

დედაა და გული ჰკარნახობს.

სამშობლოზე, შვილებზე ფიქრობს თუშების სახელოვანი რძალი.

ჯემალ ქურხული

## გაუფრთხილდით ჩვენს მოხუცებს

# მოწყენილი თოჯინები



ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგვიანებით გილოცავთ ახალ წელს, ჩემო ნინო და ქეთი. მარტო ახალ წელს კი არა, 8 მარტსაც მოგილოცავთ, ჩემო სანატრელებო. ბედნიერ ქალობას გისურვებთ, ბედნიერი ქალები კი მაშინ იქნებით, როცა სხვის ოჯახშიც შეიტანთ ბედნიერებას, თქვენი შესვლით ოჯახს სიმყუდროვეს არ დაურღვევთ და გამზრდელს არავის გაალანძღვინებთ.

გისურვებთ ბედნიერ დედობას, ბედნიერ ბებიობას!

მეგონა მოხვიდოდით და ახალ წელს მომილოცავდით, ჩემო პატარებო. მაგრამ, უკვე რამდენი ხანი გავიდა! ამაოდ! მაგრამ მაინც იმედიანად ვიყურები საგანგებოდ გაწმენდილ ფანჯრებში. მოლოდინის იმედი პატარავდება, მაგრამ მაინც გელოდებით, იქნებ მოიფიქრონ თქვენმა მშობლებმა, რომ ცოდო ვარ მარტო დარჩენილი, თქვენგან მიტოვებული, თქვენს ლოდინში ღამენათევი და დღეშეწუხებული.

რაღა დროს ახალი წელიაო, იტყვით, მაგრამ, რომ იცოდეთ ახალ წლამდე ერთი თვით ადრე ვიყიდე ეს თოჯინები ჩემი გოგონებისათვის საჩუქრად. დღემდე ისევ დამალულები მყავანან, დღის სინათლეს ვარიდებ, ვუფრთხილდები, ვეფერები.

გაიზრდებით, ჩემო გოგონებო, ცხოვრებას ახლოს გაიცნობთ და მიხვდებით, რაც დედამ ჩაგაგონათ ბებიაზე, ეს თქვენი სულის დამახინჯება, სიძულვილის ჩანერგვა ბავშვის სათუთ გულში, დიდი ბოროტებაა.

ეცადეთ, თქვენ ეს არ გაიმეოროთ, შვილებს ყველა შეაყვარეთ და როცა გაიზრდებიან, თვითონ მიხვდებიან კეთილსა და ბოროტს.

არ არსებობს ბებიასათვის იმაზე დიდი სასჯელი, შვილიშვილებს რომ დაანატრებენ და არ აჩვენებენ.

ორიოდე სიტყვას შენც გწერ, ჩემო ბიჭო!

დღეს, შვილო, შენი მეგობარი შემხვდა. იმისგან გავიგე, ახალ ბინაში კარგად მოწყობილხარ, ტელეფონიც დაგიდგამთ. გამეხარდა და სიხარულთან ერთად კიდევ ერთი სასიცოცხლო ძაფი ჩამწყდა გულში. მე ხომ ვერც შენს ბინაში მოვალ და ვერც ტელეფონით დაგირეკავ, ამიტომ ნომერიც არ მიკითხავს მისთვის;

კარგად იყავით, შვილო, რას იზამ, ზოგისთვის ცხოვრება ძალიან რთულია. მე ჩემს ცხოვრებაში არც განებივრებული მეუღლე ვყოფილვარ და არც ბედნიერი დედა. მთელი ოჯახის სიმძიმეს ხან ჭმუნვით მივათრევდი, ხანაც იმის ხალისით, რომ ორ ვაჟკაცს ვზრდიდი, ბოლოს გამახარებენ და დედას მეტი რა უნდა სურდეს, — ვეუბნებოდი ჩემს თავს. შენ კი ავადმყოფ ძმას ჩააბარე ჩემი თავი...

დღესდღეობით ვცდილობ ყველაფერს გავუძლო, ღამე კი ძალიან მიჭირს. ძილშიც მელანდება ჩემი შვილიშვილების თვალები, თითქოს დამდევენ, თითქოს კიდევაც მეძახიან — ბებო, ჩვენც ძალიან გვენატრები.

შვილო, ცოლის პატივისცემა უნდა გქონდეს, მაგრამ დედას ნუ დაკარგავ, განა რამეს გთხოვ, მხოლოდ თბილ მოკითხვას. ტელეფონი გქონია, ბინიდან თუ გერიდება, ქუჩიდან დამირეკე, მენატრები, შენი ხმა გამაგონე, ის სიხარული დიდხანს მეყოფა.

კარგად იყავით, ჩემო შვილო და შვილიშვილებო. ახალ წელსაც და რვა მარტსაც ერთად გილოცავთ, მუდამ გელოდებით მე და თქვენთვის ნაყიდი, მოწყენილი თოჯინები.

თქვენი ბებია

**მინაწერი:**

მკითხველო, იქნებ თქვენ გამასამართლოთ — რა არაადამიანური თვისებების მქონე უნდა იყოს ბებია, რომ ასე დაისაჯოს, ან იქნებ მირჩიოთ ამ სასჯელის ასაცდენად როგორ მოვიქცე?..



ბით მან ადრეული ბავშვობიდან შეიყვარა. მხატვრის ნამუშევრებში დიდად შეიგრძნობა ლიტერატურული, თეატრალური, თუ მუსიკალური შთაბეჭდილებანი. თანამედროვე ცხოვრების იმპულსებთან ერთად ისინი ქმნიან ხელოვანის გრაფიკული შემოქმედების მიკროსამყაროს. ბოლო წლებში ნანა ცინცაძის შემოქმედებაში დიდი ადგილი დაიჭირა ისეთმა თემებმა, როგორიც არის: ადამიანი და გარემო, ქვეყნის ისტორია, მხატვარი და საზოგადოება. ამგვარია სერიები „გზა“, „ქართლი“, „თეატრალური შთაბეჭდილებანი“, „ქალაქური ცხოვრების ეპიზოდები“. რიგ ნამუშევრებში ჭარბობს ასოციაციური აზროვნება. რთულდება კომპოზიციის ენა, გრაფიკული ხერხები. მხატვარი ახერხებს ბალანსირებას იმ მიჯნაზე, რომლის მიღმა სირთულე შეიძლება ქაოსად გადაიქცეს, ხოლო აზრობრივი სიღრმე — გაუგებრობად. ასეა გადაწყვეტილი საქართველოს უახლესი ისტორიის ტრაგიკული მოვლენებისადმი მიძღვნილი ციკლი „გზა“, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ამსახველი ოფორტები, მილოშ ფორმანის ფილმით შთაგონებული ოფორტი „კონცერტი“. ამ ნაწარმოებთა გვერდით ნანა ჰქმნის ორ-სამ ფიგურიან, მშვიდ, გაწონასწორებულ კომპოზიციებს, სადაც მთავარ ყურადღებას უთმობს ფერის სიმდიდრის გამოვლენას, ნატიფად ნიუანსირებულ ფაქტურულ მრავალფეროვნებას, რეზერვაჟის სპეციფიკის ოსტატურ გამოყენებას. იგივე ამოცანებია დასახული მის აკვარელებში, რომლებიც თომას მანის რომანის „იოსები და მისი ძმების“ მოტივებზეა შექმნილი.

ვანი გადაწყვეტით, ტექნიკის დეკორატიული შესაძლებლობის კარგი გამოყენებით, ფაქტურული სიმდიდრით.

დიდად ნაყოფიერი აღმოჩნდა გრაფიკოსისათვის ქართული ფრესკული ხელოვნების ტრადიციების გამოყენება. ხელოვნებათმცოდნე ნ. პროკოფიევა სამართლიანად წერდა მისი ზოგიერთი ოფორტის შესახებ: „ფრესკული გამომსახველობისაკენ მიდრეკილება ნათლად იგრძნობა მის დიდ ოფორტულ სერიებში, ფურცლებში „დიალოგი“, „დილა“, „საღამო“. მიმზიდველი ძალა ენიჭება არა მარტო ფიგურათა პლასტიკას, პოზებს, არამედ ძლიერ და სუფთა ფერს, მეტად ლამაზსა და კეთილშობილს“. ეს თვისებები ახასიათებს მის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებს — „შუადღე“, რომლის ფერადოვანი ჰარმონია, კომპოზიციური ოსტატობა ჯეროვნად დააფასეს ტალინის ტრიენალეზე (1983 წ).

# ნანა ცინცაძე

ნანა ცინცაძე იმ მხატვარ ქალთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა შემოქმედებითი აქტივობა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ბოლო ათწლეულის ქართული გრაფიკის თანამედროვე, თავისთავად სახეს. ძნელია განისაზღვროს როგორ წარიმართებოდა მისი შემოქმედებითი გზა სამხატვრო აკადემიის დამთავრების (1971 წ) შემდეგ, რომ არა გამარჯვება კონკურსში, რომლის წყალობითაც იგი გამორჩეული მხატვრის სერგო ქობულაძის სახელოსნოს წევრი გახდა. არ გამართლდა სკეპტიკოსების ეჭვი, თითქოს მძლავრი ინდივიდუალობის მქონე ოსტატი დათრგუნავდა მოწაფეებს, მოამრავლებდა „პატარა ქობულაძეებს“ მისმა აღზრდილებმა მათ შორის ნანა ცინცაძემაც, შესძლეს საკმაო სისრულით გამოემჟღავნებინათ საკუთარი შესაძლებლობანი.

ჩვეულებრივ, ხელოვანი ქალების ნაღვაწის განხილვისას ხაზს უსვამენ ოჯახისა და შემოქმედების შეხამების სირთულეებს. ამგვარი სიძნელეები არც ნანასთვის არის უცხო. მაგრამ, ამასთან, მისთვის სახლი, შვილები, შემოქმედებითი თანამეგობრობა მეუღლესთან, მხატვარ გოგი წერეთელთან ნაყოფიერი მუშაობის, ახალი იდეების აუცილებელი პირობაა. ამას მოწმობენ მისი პირველი ოფორტებიც, რომლებითაც მიიქცია ყურადღება გამოფენებზე: „შვილის პორტრეტი“ (1979 წ), „ფანჯარა“ (1974 წ) და ბოლო წლებში შექმნილი ნაწარმოებებიც: „გოგი“ (1982 წ.) „ირინე“ (1986) და სხვები.

ნანა ცინცაძის შემოქმედებითი ინდივიდუალობის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა ძველმა ქართულმა ხელოვნებამ, რომელიც მშობლების წყალო-

გრაფიკოსის მხატვრული ენის შექმნის მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს შესამჩნევი მოწინება ძველი ოსტატებისადმი. თავდაპირველად ეს მჟღავნდებოდა შედარებით მარტივ სურვილში — კომპოზიციებში ჩაერთო საყვარელი ნაწარმოებების რეპროდუქციები ან მათი ფრაგმენტები. მოგვიანებით ეს კავშირები უფრო რთული გახდა. უმრავლეს შემთხვევაში იგი ერიდება პირდაპირი ციტატების გამოყენებას, თუმცა არც მისი შთაგონების წყაროს მოძებნა ძნელდება. ამის თვალსაჩინო მაგალითია ფურცელი „დიალოგი“, სადაც თანამედროვე გრაფიკულ ფორმასთან ერთად მკაფიოდ იგრძნობა შესამჩნევი „ესპანიზმები“. განსაკუთრებით საინტერესოდ არის გამოყენებული ეს ხერხი „ირინეს პორტრეტში“ (1986 წ); პატარა მოდელი სერიოზული სახით და საზეიმო სამოსით აშკარად შთაგონებულია ველასკესის ცნობილი ინფანტათი. ნამუშევარი გამოირჩევა მდიდარი ფერადო-

საინტერესოა ნანა ცინცაძის პორტრეტული შემოქმედება. იგი ძირითადად ხატავს ახლობლების, კოლეგების სახეებს. საკმაოდ მრავალფეროვანია მისი მიდგომა მოდელისადმი. თუ ავტოპორტრეტი გამოირჩევა მახვილი გრაფიკულობითა და ლაკონიზმით, მოგვიანებით შესრულებულ ნამუშევრებში: „ლალი“, „მხატვარი“, „ნანა“ და სხვ, იგრძნობა მეტი ლირიზმი, სირბილე.

ორი ათეული წლის მანძილზე მხატვრის შემოქმედებამ საკმაო ტრანსფორმაცია განიცადა. გაიზარდა ფურცლების ზომა, გამდიდრდა ტექნიკური არსენალი, თემატიკა, უფრო ოსტატური გახდა ფერის გამოყენება.

ნანა ცინცაძის ნამუშევრები არ არის უეცარი პოეტური აღტკინების შედეგი, ყოველი მათგანის უკან არის საკმაოდ მძიმე შრომა, ხანგრძლივი ძიება ოფორტის სპეციფიკის გამოვლენისათვის. მხატვარი მრავალი წელია ინტენსიურად მონაწილეობს მხატვრულ ცხოვრებაში. ბოლო ხანს მისი ნაწარმოებებით დაინტერესდნენ საზღვარგარეთელი კოლექციონერები. 1983 წელს მისი სერია აღიარეს წლის საუკეთესო გრაფიკულ ნამუშევრად. ამის მიუხედავად იგი საკმაოდ კრიტიკულად უდგება თავის შემოქმედებას. ეს, ყოველი ნამდვილი მხატვრისათვის აუცილებელი თვისება, მისი შემდგომი წარმატებების საწინდარია. ტრადიციებისა და თანამედროვე დინამიური, ექსპრესიული გრაფიკული ენის შეხამება, ტექნიკის თავისებურება ნანა ცინცაძის შემოქმედებას ქართული გრაფიკის საინტერესო მოვლენად აქცევს.

ნინო ზაალიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ირინეს პორტრეტი



მხატვრის პორტრეტი



ესპანური მოტივი

ეროვნული ბიბლიოთეკა



დიალოგი



შუადღე

ეროვნული ბიბლიოთეკა



კომპოზიცია სერიიდან „გზა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლეილა მესხი–დიდი იმედი



არა გვგონია რომელიმე სახეობის სპორტის წარმომადგენლებს ისეთი დაძაბული სეზონი ჰქონდეთ, როგორც ჩოგბურთელებს. ვერც კი ასწრებს დამთავრებას ერთი რომელიმე პრესტიჟული საერთაშორისო შეჯიბრება, რომ მყისვე იწყება მეორე. ასე მიჰყვებიან ერთმანეთს ავსტრალიის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების ღია ჩემპიონატები, უიმბლდონის სახელგანთქმული ტურნირი, მრავალრიცხოვანი ასპარეზობები ე.წ. „ვირჯინია სლიმსის სისტემით“, ეროვნულ შეჯიბრებებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ვისაც სახელის მოხვეჭა და თავისი სპორტული მზადყოფნის გაუმჯობესება სურს, მან ამ ტურნირების დიდ ნაწილში უნდა მიიღოს მონაწილეობა. ჩოგბურთში სხვა გზა არ არსებობს.

და აი, საბჭოთა ჩოგბურთელები ქვეყნიდან ქვეყანაში მოგზაურობენ, იხვეწენ ოსტატობას, თუმცა თანამედროვეობის წამყვან ოსტატებთან მეტოქეობა ჯერ კიდევ ძალიან უჭირთ.

ჩვენი გულშემატკივრები იმედოვნებენ, რომ გაივლის რამდენიმე ხანი და გამოჩენილ საზღვარგარეთელ ოსტატებს წარმატებით შეერკინება ქართველი ჩოგბურთელი, 21 წლის ლეილა მესხი. მისთვის 1989 წლის სეზონი არაერთი წარმატებით აღინიშნა, რაც ძალიან გვსურს მომავალი მიღწევების წინაპირობად იქცეს. გამოვთქვამთ იმედს, რომ ასეთი „ნახტომი“ ამჯერად მზადდება კიდეც.

ლეილას უდავო მიღწევად საკავშირო ჩემპიონატში გამარჯვება ითვლება. ეს პრესტიჟული შეჯიბრება იყო, მით უმეტეს, რომ მასში ყველა წამყვანი საბჭოთა ჩოგბურთელი მონაწილეობდა.

ნოემბერში მესხი მონაწილეობდა დიდ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც შეერთებული შტატების ქალაქ ნეშვილში გაიმართა. ამ შეჯიბრების წინ ქართველ სპორტსმენს მსოფლიოს „რანგ-ლისტში“ (ძალთა შედარებითი ნუსხა), რომელსაც დროდადრო აქვეყნებს ხოლმე ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია, მხოლოდ 44-ე ადგილი ეჭირა. წინასწარი მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, პირველ ადგილს (საპრიზო ფონდი 100 ათას დოლარს შეადგენდა) ის სპორტსმენი უნდა დაუფლებოდა, რომელსაც ამავე ნუსხაში გაცილებით უფრო მაღალი ადგილი ეკავა, მაგრამ საბოლოოდ ეს ასე არ მოხდა. საერთაშორისო ტურნირების ბედს, გასაგებია ნუსხები კი არ წყვეტენ, არამედ სხვა ფაქტორები — სპორტული მზადყოფნა კონკრეტულ მომენტში, ეს კი ქართველ სპორტსმენს მართლაც რომ საუკეთესო აღმოაჩნდა.

საერთაშორისო ტურნირებში კარგა ხანია ერთი თავისებური ტრადიცია დამკვიდრდა: უძლიერესი მონაწილეები ერთმანეთს თავიდანვე რომ არ შეხვდნენ და ამით შეჯიბრებამ ინტერესი არ დაკარგოს, მათ განთესავენ ხოლმე. ამიტომაც იყო, რომ ნეშვილში ლეილა ჯერ იოლ მეტოქეებს ხვდებოდა და წინ დაუბრკოლებლად მიიწევდა, მეტად სერიოზული მოწინააღმდეგე ქართველ ჩოგბურთელს მხოლოდ მესამე წრეში შეხვდა. ეს გახლავთ ცნობილი ბულგარელი ოსტატი კატერინა მალეევა. კატერინა და მისი და მანუელა კარგა ხანია ევროპის უძლიერეს ჩოგბურთელთა რიცხვს მიეკუთვნებიან, საერთაშორისო ტურნირებში დიდი წარმატებით მონაწილეობენ.

მესხისა და კ. მალეევას მატჩი უკიდურესი სიმძაფრით გამოირჩეოდა. დასაწყისში უპირატესობა ბულგარელს ჰქონდა, მაგრამ შემდეგ ლეილამ მისთვის დამახასიათებელი შეუპოვრობა გამოავლინა და, რომ იტყვიან, ხელიდან გამოჰგლიჯა გამარჯვება მეტოქეს. მესხი ნახევარფინალში გავიდა. სადაც სრულიად დამაჯერებლად სძლია ცნობილ ჰოლანდიელ ოსტატს მანონ ბოლეგრაფს. ეს უკვე დიდი წარმატება იყო.

და მაინც მესხს მოელოდა მთავარი ზღუდის დაძლევა, ფინალში მისი მეტოქე იყო კანადელი ჰელენ კელესი, მსოფლიოს მეჩვიდმეტე ჩოგანი. სად მეჩვიდმეტე და სად ორმოცდამეოთხე? იკითხავს მკითხველი. მაგრამ ლეილამ უდავოდ დაამტკიცა, რომ ჩოგბურთელთა მსოფლიო კლასიფიკაციაში გაცილებით უკეთეს ადგილს იმსახურებს. კელესმა მას ვერაფერი დააკლო და საბოლოოდ ტურნირში გამარჯვება მიულოცა (ამისათვის ლეილას 17 ათასი დოლარი გადაეცა). ეს მესხის არცთუ ხანგრძლივი სპორტული „კარიერის“ მანძილზე ყველაზე დიდი გამარჯვება გახლავთ. როგორც გამოირკვა, არც ერთ საბჭოთა ჩოგბურთელ ქალს უკვე 15 წლის მანძილზე არ გაუმარჯვია ასეთი მასშტაბის საერთაშორისო ტურნირში (უკანასკნელად ეს ოლგა მოროზოვამ გააკეთა). ნეშვილში ჩვენმა სპორტსმენმა კიდევ ერთ წარმატებას მიაღწია. კიეველ ნატალია მედვედევასთან ერთად იგი მეორე იყო წყვილთა შეჯიბრებაში.

დადგა 1990 წელი. ლეილა ცხადია, არაერთ შეჯიბრებაში მიიღებს მონაწილეობას. ვუსურვოთ მას ახალი წარმატებები, მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელებთან გამარჯვების მოპოვება, ქართული საჩოგბურთო სკოლის სახელის ღირსეულად დაცვა.

**გივი გამრეკელი**

# ჩვენი შორეული ახლობლები



იურმალას ლატვიის მარგალიტს ეძახიან. რამდენიმე კილომეტრზე გაჭიმული საუცხოო პლაჟი, უამრავი სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი, წყნარი, მწვანეში ჩაფლული ქუჩები საოცარ გამას ქმნიან. თვალს ახარებს ნაირფერი, ნაირნაირი ყვავილები და... თოლიები, რომლებიც აქ საკვების იოლად შოვნის იმედს შემოუტყუებია.

მაგრამ იურმალას სხვა ხიბლიც აქვს: მეცის პროსპექტზე არის სახლი, რომლის კარიც მუდამ ღიაა ქართველებისათვის. აქ ცხოვრობს ჩვენი დიდი მეგობარი ქალბატონი ინგუნა ებელე.

ინგუნა პირველად თბილისში, აკაკი ბაქრაძის საჯარო ლექციაზე ვნახე. სავსე დარბაზი სულგანაბული უსმენდა შორეული ლატვიიდან ჩამოსულ სტუმარს, რომელიც მათ მშობლიურ რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესზე მოუთხრობდა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. თანდათან საქართველოში ფართო სახალხო მიიღო მოძრაობამ, რომელსაც ახლა საყოველთაო გამოღვიძებას ვეძახით. ჩვენთან არ ყოფილა არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, ქალბატონ ინგუნას თავისი აქტიური დამოკიდებულება არ გამოეხატა. ლატვიურ პრესაში ხელ უერ ხშირად იბეჭდებოდა მისი ნარკვევები და ჩანაწერები საქართველოზე, მრისხანებით სავსე კორესპონდენციები უსამართლობის ცალკეულ შემთხვევებზე. ინგუნა ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც ლატვიელ ხალხს უტყუარი ცნობები მიაწოდა თბილისის 9 აპრილის ტრაგედიის შესახებ.

ამ ზაფხულს რამდენიმე დღით გახლდით ლატვიაში. ვცხოვრობდი უმშვენიერეს სასტუმრო „იურმალაში", აქედან ხელის ერთ გაწვდენაზე იყო სითბოთი და სიყვარულით სავსე ებელების ოჯახი, მაგრამ, რატომღაც, იქ მისვლა ვერ მოვახერხე.

და აი, შემოდგომაზე ბედმა ისევ მომახვედრა ლატვიაში. აქ უკვე მელოდა მივლინებაში მყოფი მეგობარი, ლატვიური ენის სპეციალისტი უშანგ სახლთხუციშვილი. სწორედ მისი მეშვეობით დავაზუსტე ინგუნას ტელეფონის ნომერი. დიდი იმედი არ მქონდა, რომ „დავიჭერდი", მაგრამ, აკი ცნობილია, „ცდა ბედის მონახევრეაო".

— თქვენზე უკვე მელაპარაკა უშანგი, — მითხრა ინგუნამ. — ხვალ ლაჩპლესის — დაუგავაზე ლატვიელი ხალხის გამარჯვების აღსანიშნავი ზეიმია, მეც იქ ვიქნები.

საღამოს ლატვიის რადიოსთან ისე შევხვდით ერთმანეთს, როგორც ძველი მეგობრები. ინგუნამ სანთელი შემომთავაზა და ჟურნალისტ ოვარ ბერიკისთან ერთად შევუერთდით ხალხის ზღვას, რომელიც ეროვნული დროშების ფრიალით მდინარე დაუგავის სანაპიროსკენ დაიძრა.

ეს მართლაც გრანდიოზული, ზღაპრული სანახაობა იყო. წარმოიდგინეთ ათეულ ათასობით ანთებული სანთელი, დაუგავის ზედაპირზე მოციმციმე ვარსკვლავები. მინიატურულ ნავებს რომ მოჰქონდათ. ამ მიდამოებში 1919 წლის ნოემბერში, როცა სობრძოლად მცირე ლატვიელებმა შავე დიდი აჯარის ბერმონტ-ავალოვის ჯარებს (1989 წლის 10 ნოემბერს ლატვიის სსრ უმაღლესი საბჭოს მეთორმეტე მოწვევის მესამეტე სესიამ 11 ნოემბერი ლაჩპლესის ხსოვნის დღედ გამოაცხადა).

ამდენი ლამპიონი სხვა დიდი ხანია აღარ მინახავს. ყოველი მხრიდან ვგრძნობდი მადლიერებით მოსყრობილ მზერას ქართველი ჟურნალისტისადმი, რომელიც სხვებთან ერთად უკიოდა „ბრივიბა ლატვიაი" — თავისუფლება ლატვიას...

იმ საღამოს თავისუფლების ძეგლთან შემდგარ მიტინგზე ინგუნა ებელემ მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა. მართალია, ლატვიური არაფერი გამეგებოდა, მაგრამ ისე ხშირად მესმოდა „გრუზია", რომ ყველაფერს მივხვდი — ინგუნა ისევ საქართველოზე, მის გაჭირვებაზე ლაპარაკობდა.

ინტერვიუ მაინც არ შედგა — ინგუნა მოზეიმე ხალხის ზღვაში დაიკარგა. მაგრამ ვიცოდი: მისი ნახვა თუ მსურდა, ვაცპილსეტას ქუჩაზე, ლატვიის სახალხო ფრონტის შტაბ-ბინაში უნდა მივსულიყავი. ასეც მოვიქეცი. აქ გავიცანი მერაბ კოსტავას სახელობის ქართულ სტუდენტთა ახალშექმნილი საზოგადოების წევრები ბესიკ ბერაძე, მაგდა კუპატაშვილი, მარინე ჯანელიძე, ლევან მჭედლიშვილი, ბესიკ ეღენტი, გოჩა ცქიტიშვილი, გია სიჭინავა, ავთანდილ აქირთავა და სხვები. ეს მშვენიერი ჭაბუკები და ქალიშვილები მამულიშვილურმა გრძნობამ შეკრიბა. სხვათა შორის, ამ საზოგადოების ერთ-ერთი „[illegible]" სწორედ ინგუნა გახლდათ. იგი ახლაც ენერგიულად ჩადგა საქმეში და ახალგაზრდებს ბევრი საქმიანი რჩევა მისცა. საკითხები კი უდრეკად სასური, პრინციპული იყო. გაზეთის დაარსება, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პოლიტიკური კრიზისი, ქართული ენის შემსწავლელი წრეების შექმნა... საზრუნავიც და საკამათოც, იცოცხლეთ, თავზე საყრელი ჰქონდათ...

თავად ვხედავდი ინგუნას მოუცლელობას. ეს ერთი შეხედვით სუსტი ქალი ისეთ სიხალისეს და სითბოს გამოსცემდა, გული მადლიერებით აგევსო. ბოლო წლებში შინაური თუ გარეულისაგან დაუმსახურებელი ლანძღვა-გინების ფონზე ინგუნასთანა ადამიანების თანადგომა ჭრილობაზე მალამოსავით გვედება. თავად ინგუნა თვლის, რომ დღეს ამა თუ იმ პატარა ერის მწვავე პრობლემებისაგან განზე დგომა არავის არგებს. „სხვისი ჭირი" არ არსებობს, თითოეული ჩვენგანი ამ თანადგომით საკუთარი ხალხის საქმეს აკეთებს.

— გული მტკივა, რომ ქართველებზე ბევრი ჭორი და სიცრუე გავრცელდა, — გამანდო ინგუნამ. — რა დასამალია და, ზოგიერთი ჩემი თანამემამულეც წამოეგო ანკესზე, როგორ შეიძლება, მართლები ყოველთვის ქართველები იყვნენო. არადა მე ხომ ვიცი, როგორ და რისთვის დაიწყო ყველაფერი...

რამ აიძულა შორეული ლატვიის შვილი არა მარტო დაინტერესდეს საქართველოს ამჟამინდელი მდგომარეობით, არამედ მის მხარდასაჭერად აქტიური პროპაგანდაც გასწიოს ბალტიისპირეთში? დღეს რომ ყოველ მეორე-მესამე ლატვიელს პირზე საქართველო აკერია, და პრესაში გამოქვეყნებულ ცნობას ბარბად იწფება, უპირველესად ინგუნა ებელეს დამსახურებაა. რატომ დაინტერესდა იგი ჩვენი ხალხის წარსულით, აწმყოთი და მომავლით? ინგუნა ძალზე უბრალოდ მიხსნის ყველაფერს, მიყვება თავის პირველ შეხვედრაზე საქართველოსთან, მის ხალხთან.

— ბავშვობიდან გული სამხრეთისაკენ მეწეოდა. საქართველო ჩემთვის ამოუცნობი იდუმალებით სავსე ფენომენი გახლდათ. ხელმოკლე მშობლების შვილს სად შეეძლო ამქვეყნის ჩამოსვლა, თუმცა იმედს მაინც არ ვკარგავდი. ბოლოს ეს ნანატრი დღეც დადგა. ვნახე ჩემი ოცნება — თბილისი. წარმოიდგინეთ, პირველი დღიდანვე თავი ვიგრძენი, როგორც საკუთარ სახლში. [illegible] თქვენთან მართლაც ბევრი მეგობარი მყავს, მაგრამ ნურავის ეწყინება, თუ პირველობას ჩემს დედობილს, [illegible] ... [illegible] ქართველი. ბავშვობის ოცნება რომ ასე ლამაზად გაგრძელდა, ჩემს დედობილსაც ვუმადლი.

ოროდე წლის წინ ინგუნა პოლიტიკას სათოფეზე არ ეკარებოდა. თავისთვის ვერც ამჩნევდა, რაც ირგვლივ ხდებოდა. რიგის სამედიცინო ინსტიტუტის პედაგოგს საზრუნავს რა დაულევდა, მაგრამ მოვიდა დრო, როცა „განზე დგომა" ვეღარ შეძლო.

— ერთხელ მეუღლემ სახალხო ფრონტის სხდომაზე წამიყვანა (ინგუნას მეუღლე რომუალდ რიჟუკასი, ეროვნებით ლატვიელი, ლატვიელ ლიტველთა საზოგადოების თავმჯდომარე, ლატვიის სახალხო ფრონტის სათათბიროს და გამგეობის წევრია). — დიდი დებატები გაიმართა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის ირგვლივ. თქვენ, რომ ლატვიელებს შეიძლება სომხეთი გამოვეხმაუროთ. ვიკითხე, რა, საქართველოს იმედი არა გაქვთ? აქ არაფერი ხდება და რისი იმედი უნდა გვქონდეს, მიპასუხეს. გული მომიწყდა, მთელი ღამე თვალი ვერ მოვხუჭე. მეორე დღეს ქმარს გამოვუტყდი, თბილისში უნდა წავიდე-მეთქი.

აქედან დაიწყო ყველაფერი. ნუ გაიკვირვებენ ჩვენიანებს — სად გვქონდა იმდენი ინფორმაცია, თითო სტრიქონის დაბეჭდვა სისხლით ფასად გვიჯდებოდა. რაც თბილისში ამ დღეებში გადამხდა, გახსენებაც არ მსურს. მაგრამ ახლა ვინ ჩივის! ახლა ლატვიელებმა იციან, რომ კავკასიონის მთებს გაღმა ცხოვრობს ქართველი ხალხი, რომლისთვისაც სიმართლეს და თავისუფლებას საცოცხლო მნიშვნელობა აქვს, რომ მისი სახით ერთგული მოკავშირე და გულშემატკივარი გვყავს.

9 აპრილმა ყველა კეთილი ნების ადამიანის გული შეძრა. სულ მალე ინგუნა თბილისში ჩამოვიდა და სა[illegible] ... [illegible] შველა. ცრემლით და მრისხანებით [illegible] პორტრეტები, რომელთაც ლატვიის სახალხო ფრონტის გაზეთი „ატმოდა" [illegible] ... [illegible] ლე მთელმა ლატვიამ.

არის კიდევ ერთი ნიუანსი, რომელიც განსაკუთრებული პატივისცემით განაწყობს ინგუნასადმი. სპეციალობით ექიმი, თვითონ, სხვისგან დამოუკიდებლად სწავლობს ქართულ ენას.

— თქვენ ისე მდიდარი, ლამაზი, თავისთავადი ენა გაქვთ! რუსთაველი? გალაკტიონი? ეს ხომ სიბრძნის მთელი ზღვაა. და რა ბედნიერებაა ამ ზღვას დაეწაფო! მეცოდებიან ის ადამიანები, ვინც ამ სიამოვნებას მოკლებულია. მაგრამ ვწუხვარ, რომ ენის სრულყოფილი ცოდნისაგან ჯერჯერობით შორსა ვარ. არა მაქვს „ქართული ენის თვითმასწავლებელი". არადა, უამისოდ წრეების შექმნა გაგვიჭირდება (თუ, რა დიდი განსხვავებაა ეროვნებით უცხო ამ ადამიანსა და ოცდაათ ვერცხლად სულგაყიდულ ზოგიერთ ქართველს შორის!).

შევპირდი, წიგნს უთუოდ გიშოვი და გამოგიგზავნი-მეთქი. ჩვენი მკითხველის იმედიც მაქვს. ალბათ ვინმე შემაწევს და წიგნს გამოიმეტებს.

* * *

... ჩვენ არ ვეკუთვნით ბედისაგან განებივრებულ ხალხებს. ჩვენ ისინი ვართ, ვისაც საკუთარი სისხლის ფასად უნდა მოიპოვოს „პური არსობისა". ამ ბრძოლაში ჩირაღდნებივით გვინათებენ ისეთი ადამიანები, როგორიც ჩვენი ინგუნა ებელეა.

დიდი მადლობა მას ამისათვის!

ელგუჯა ლებანიძე

ქ. რიგა.

# სიყვარულის ძალა

ეროვნული ბიბლიოთეკა



დავით იაკობაშვილის ფოტო

ქალები ხშირად „წუწუნებენ“: საქმე, ოჯახი, შვილები, სამზარეულო, თანაც ქალური მიმზიდველობის შენარჩუნება და... ყველაფერს ერთად გამონაკლისნი ახერხებენო.

მართლაც, ყველას არ ძალუძს ყველაფრის შეთავსება, მაგრამ ხომ არიან ქალები, რომლებიც საყვარელ სამუშაოსაც და ოჯახსაც რიგიანად უძღვებიან. განსაკუთრებით კი ერთ-ერთ მათგანს.

დალი კოკაია-ფანჯიკიძე სამი შვილის დედაა, ცნობილი მთარგმნელი, სტუდენტების საყვარელი ლექტორი და ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, ი. მაჩაბლის პრემიის ლაურეატი, აგრეთვე, სამი შვილიშვილის ბებიაც...

— როგორ ახერხებთ ყოველივე ამის შეთავსებას? — ვეკითხებით ქალბატონ დალის. უხერხულად ილიმება და მპასუხობს: — სიყვარულის ძალით. ვცდილობ დრო ისე გავანაწილო, რომ არც ოჯახს მოაკლდეს ჩემი ხელი, არც სტუდენტებს, არც სამუშაოს. მით უფრო, როცა გვერდით საყვარელი ადამიანები არიან და გეხმარებიან, ყველა საქმე იოლდება.

— როდის დაიწყეთ თარგმანებზე მუშაობა?

— პირველი თარგმანი მეხუთე კურსის სტუდენტმა ვცადე. უყურადღებოდ არ დარჩენილა და ამან შემაგულიანა. საკანდიდატო დისერტაცია ამ თემაზე დავიცავი: „გერმანული და ქართული ენების შეპირისპირებითი სტილისტიკის საკითხები და მხატვრული თარგმანის პრობლემა“.

თარგმანის თეორიას და პრობლემებს უკვე ოცამდე მეცნიერული ნაშრომი მივუძღვენი, 1988 წელს კი გამოვიდა ჩემი მონოგრაფია „თარგ-

მნის თეორია და პრაქტიკა“. ვთარგმნე თომას მანის „ბუდენბროკები“ და „ჯადოსნური მთა“, მაქს ფრიშის რომანები „ჰომო ფაბერი“ და „ვიქნები თუნდაც განტენბაინი“, ულრიხ პლენცდორფის „ახალგაზრდა ვ-ს ახალი ვნებანი“ და სხვები. ახლა ვმუშაობ თომას მანის ნაწარმოებზე „ყალთაბანდ ფელიქს კრულის აღსარება“, იგი ალბათ მალე „საუნჯეში“ დაიბეჭდება.

— თარგმანის პრობლემებზე ბევრს ლაპარაკობენ. როგორც მთარგმნელები ამბობენ, არიან ძნელად და ადვილად სათარგმნი ავტორები. თომას მანი გავრცელებული შეხედულებით „ძნელი“ ავტორია: ამის მიუხედავად, თქვენ მაინც ინტენსიურად თარგმნით მას.

— ინტერესი სწორედ სიძნელეშია. თომას მანი გაიძულებს იფიქრო, ეძიო, თავი იმტვრიო, სამაგიეროდ გთავაზობს საოცარ სამყაროს, რომელიც მთარგმნელის საშუალებით უნდა გაიცნონ მკითხველებმა. ამ მწერლის პრობლემატიკა ჩემთვის ახლობელი და გასაგებია, მხიბლავს მისი გმირების სულიერი სიღრმე, მათი აზროვნების მასშტაბები, გადამდებია მისი განცდები. ხშირად თარგმნისას თითქოს თვითონ თომას მანი „მეხმარება“, მკარნახობს.

ჩემი პრინციპია დედანთან თარგმნის მაქსიმალური სიახლოვე, ავტორის ლექსიკის შესატყვისის მოძიება ქართულში, რათა სრულად შეინარჩუნოს თარგმანმა ავტორის სული და იგი იკითხებოდეს არა როგორც ქართული, არამედ, როგორც გერმანული ნაწარმოები, მაგრამ ქართულად რაც შეიძლება უზადოდ გადმოტანილი.

თარგმნის პროცესი რთული, ხანგრძლივი და შრომატევადი სამუშაოა, მაგრამ დიდი სიამოვნების მომგვრელიც არის. მახსოვს როგორ ვოცნებობდი „ჯადოსნური მთის“ თარგმანზე და როგორი მოკრძალებითა და უდიდესი პასუხისმგებლობით მოვეკიდე ამ სამუშაოს, ხოლო „ბუდენბროკებს“ მთელი ხუთი წელიწადი მოვანდომე. ასე რომ, თარგმნა არც ისე ადვილი საქმეა, როგორც ზოგიერთ მთარგმნელს ჰგონია, მაგრამ აქაც სიყვარული მეხმარება — ნაწარმოებისა და მკითხველის სიყვარული.

— უკვე მეოთხედ საუკუნეზე მეტია სტუდენტებს ასწავლით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. საინტერესოა თქვენი აზრი ჩვენს დღევანდელ ახალგაზრდობაზე.

— შეიმჩნევა ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძება და დიდია ახალგაზრდების როლი ამ საქმეში. ამაზე დღეს ბევრს წერენ და ლაპარაკობენ, მაგრამ მე სხვა რამ მაწუხებს — ახალგაზრდებს ნაკლებად აინტერესებთ სწავლა, არ ისწრაფვიან პროფესიონალიზმისაკენ და ის კი ავიწყდებათ, რომ სწორედ პროფესიონალებმა უნდა გამოსჭედონ საქართველოს მომავალი. თუ ასეთი დიდია მათში ეროვნული გრძნობა, ისინი უწინარესად იქ უნდა წავიდნენ, სადაც სამშობლოს სჭირდება და კონკრეტული საქმეებით დაამტკიცონ თავიანთი პატრიოტობა.

როგორც ამბობენ, ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს. შესაძლებლობის მაქსიმუმი უნდა მივცეთ ჩვენს სამშობლოს, ეროვნულმა ენერგიამ კონკრეტული მიმართულება უნდა შეიძინოს, თორემ მხოლოდ ლაპარაკით შორს ვერ წავალთ...

ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ არც სტუდენტების პრეტენზიებია უსაფუძვლო. უნივერსიტეტში შესანიშნავი პედაგოგები მყავდა, თითქმის ყველა საგანში, დღეს კი ჩვენი სტუდენტები ასე არ არიან განებივრებული. ამის მიზეზია სამეცნიერო ხარისხის მოპოვების გაიოლებული გზები, სუსტი დისციპლინა... თუმცა საკმაოდ გვყავს ნიჭიერი, მონდომებული და მომზადებული ლექტორები, რომლებისგანაც, ჩვენი ახალგაზრდები თუ მოინდომებენ ბევრს ისწავლიან.

— საქართველოში ამ ბოლო დროს უამრავი მტკივნეული პრობლემა დაგროვდა. მათ შორის განსაკუთრებით რომელს გამოჰყოფდით?

— ყველა პრობლემა მტკივნეულია და გადასაჭრელი, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ყველას ერთად ვერ გადავჭრით, ჩვენმა ეროვნულმა სენმა — სულსწრაფობამ არ უნდა გვძლიოს.

როგორც დედას, მეც მაწუხებს ე. წ. „ჯარის პრობლემა“ შეძრწუნებული ვარ სამხედრო მოვალეობის მოხდისას დაღუპული ჭაბუკების ბედით. ჩემი აზრით, ეს საკითხი სასწრაფოდ უნდა გადაიჭრას. უნდა დაჩქარდეს ეროვნული საჯარისო ნაწილების შექმნა, უნდა დაკმაყოფილდეს ხალხის სამართლიანი მოთხოვნა.

ახლახან ისრაელში ვიმოგზაურე და ჩემი თვალით ვნახე, როგორი ხალისით მიდიან ბიჭები და გოგოები ჯარში, ეს მათთვის ღირსების საქმედ არის ქცეული და ეჭვით შეჰყურებენ ყველას, ვინც თავს აარიდებს ამ საქმეს. ისინი, ვინც თავიანთ ქვეყანას იცავენ, ისეთი ამაყები და ლაღები არიან, შეგშურდება. დარწმუნებული ვარ, ქართული საჯარისო ნაწილების შექმნა დიდ ეროვნულ აღმავლობას გამოიწვევს ჩვენში. ამას გარდა, ძალზე მაღლდება დემოგრაფიული პრობლემა. ამდენი გასათხოვარი და დასაქორწინებელი, რამდენიც ჩვენშია, არსად მეგულება. მათ მიერ მოტანილი არგუმენტები ძალზე სუსტად მეჩვენება: ბინა, პირობები, ხელფასი, და სხვა, ეს ყველაფერი წვრილმანია იმ სიხარულთან შედარებით, რაც მხოლოდ შვილებმა, ოჯახმა შეიძლება მოუტანოს ადამიანს. ჩვენი ახალგაზრდები ბევრს წუწუნებენ და ნებისყოფა არ ჰყოფნით სიძნელეებთან შესაჭიდებლად. ჩვენ, მათ ასაკში, როცა ოჯახებს ვქმნიდით, უფრო გვიჭირდა, მაგრამ ყველაფერს რწმენა და სიყვარული გვიიოლებდა. სწორედ ასეთი სულისკვეთებით უნდა გავზარდოთ შვილები, ასეთი ადამიანები გადაჭრიან პრობლემებს, შეეჭიდებიან სიძნელეებს, ასეთი ხალხი სჭირდება მომავალს, საქართველოს.

— და ბოლოს, რამდენიმე სიტყვა თქვენს შვილებზე...

— საკუთარ შვილებზე საუბარი თანაც ასე საჯაროდ, ცოტა არ იყოს უხერხულია, უფროსი ქალიშვილი მაია, ჩემს კვალს გაჰყვა, გერმანულის სპეციალისტია, საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა, თარგმანშიც მუშაობს, თანაც ორი ბიჭის დედაა. ლაშა მოქანდაკეა, ისიც ცოლშვილიანი გახლავთ, ხოლო ნათია უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტია...

— ქალბატონო დალი, რაიმე სურვილი ხომ არ გექნებათ ქალთა ჟურნალის მიმართ?

— სხვათა შორის, სტუდენტობის დროს ვთანამშრომლობდი ამ ჟურნალში, თარგმანებს ვაწვდიდი და კეთილად დამახსომდა რედაქციის თანამშრომელთა სითბო და გულისხმიერება.

სურვილი კი ერთი მაქვს: ჩემი აზრით ქალთა ჟურნალმა მეტი უნდა წეროს წმინდა „ქალური პროფილით“. კერძოდ, მეტი რჩევა უნდა მისცეს ქალებს, თუ როგორ შეინარჩუნონ სილამაზე, ქალურობა, როგორ გაიმშვენიერონ საკუთარი ცხოვრება, როგორ გახდნენ უფრო საინტერესონი და სხვა. ქალების ჟურნალისთვის, ვფიქრობ, ეს არის მთავარი.

ესაუბრა ირინე კუკავა



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბ. ბლიოთეკა



# ბავშვი და ოჯახური კონფლიქტები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჯახში წარმოქმნილი რთული პედაგოგიური ხასიათის კონფლიქტებიდან თავის დახსნის მიზნით, ზოგჯერ მშობლები კონსულტაციისათვის მიმართავენ ნაცნობ-მეგობრებს, რომელთა არაკომპეტენტური მეგობრული რჩევა-დარიგება არა თუ სასურველ შედეგს იძლევა, არამედ ამწვავებს ისედაც რთულ ურთიერთობებს.

ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო კვლევითს ინსტიტუტში უკვე მესამე წელია შეიქმნა და მოქმედებს სპეციალური სამსახური — მშობელთა პედაგოგიზაციის კაბინეტი. ამ კაბინეტში კვირაში ერთხელ, სამშაბათობით, მშობლებს ინდივიდუალურად ესაუბრებიან ფსიქოლოგები, დეფექტოლოგები, სამართალმცოდნეები და მეთოდისტები. გულახდილ საუბრებში იკვეთება რთული ოჯახური სიტუაციის სურათი. სპეციალისტი ადგენს კონფლიქტის ძირითად მიზეზს და მშობლებს კონკრეტულ რეკომენდაციებს აძლევს. ვეცნობით ბავშვებს, ვარკვევთ ოჯახის სხვა წევრების ურთიერთობებსაც. ვამშვიდებთ სულიერად აფორიაქებულ მშობელს და შემდეგ ვცდილობთ მასთან ერთად გავაანალიზოთ ოჯახში შექმნილი სიტუაცია; ვუცნობიერებთ ოჯახში დაშვებულ შეცდომებს, ვუსახავთ კონფლიქტის დაძლევისა და შვილთან ახალი ურთიერთობის გზებს.

ჩვენი მთავარი მიზანია კონფლიქტის მონაწილეებს შევახსენოთ, რომ დაიცვან ეთიკის ნორმები. მთავარია კონფლიქტი არ გადაიზარდოს ერთმანეთის სიძულვილში, ერთმანეთის შეურაცხყოფასა და დამცირებაში. ამის მიღწევა სავსებით შესაძლებელია და ჩვენი კაბინეტის ძირითადი ამოცანაც ეს არის.

ოჯახური კონფლიქტის მიზეზი შეიძლება იყოს: ქალის ფსიქოლოგიიდან გამომდინარე სწრაფვა, გახდეს ის ოჯახში პირველი დიასახლისი. დედის „ეჭვიანობა" შვილის სიყვარულში, რომ სხვა ქალი ეზიარება მას. დედამთილის შინაგანი გაუცნობიერებული შფოთი იმის გამო, რომ ახალგაზრდობას ეთხოვება, რძლის შიში ქმარი დედამთილის გავლენის ქვეშ არ მოექცესო და სხვა.

წმინდა ფსიქოლოგიური მიზეზების გარდა, რძლისა და დედამთილის ურთიერთობებს განსაზღვრავს აგრეთვე, ყოფითი და ეკონომიკური ხასიათის ფაქტორებიც. თანამედროვე ქალებს საკმაოდ მძიმე მდგომარეობა აქვთ: საზოგადოება, სამსახური, მტერ-მოყვარე...

ამ რამდენიმე ხნის წინ ჩვენს კაბინეტში კონსულტაციისათვის მოვიდა უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდა ქალი, მ. ქ-ძე. მას სისტემატური კონფლიქტი ჰქონდა დედამთილთან, ასევე უმაღლესი განათლების მქონე ქალთან. გულახდილი საუბრების შემდეგ გავაანალიზეთ როგორც მისი, ასევე დედამთილის ქცევები, მათი სიტყვა-პასუხი, ბავშვთან დამოკიდებულების თავისებურებანი, ყოფითი წვრილმანები, რომლებიც ნებისმიერი ოჯახისთვის არის დამახასიათებელი (საიდუმლოს დაცვის მიზნით სპეციალისტი-კონსულტანტის გარდა არავინ იცის საუბრის ინტიმური მხარე). რძალმა დაიწყო მოქმედება ჩვენი რეკომენდაციების მიხედვით და სულ მალე შეამჩნია, რომ დედამთილი, რომელიც მანამდე „მკაცრი" ეგონა, საკმაოდ სათნო ადამიანი ყოფილა. ბოლოს და ბოლოს, მათ შორის თანხმობა დამყარდა. ახლა მ. ქ-ძე თავის დედამთილს პატივს სცემს და აფასებს. ბოლო დროს დედამთილიც კმაყოფილია რძლის ქცევით, მისი სიტყვა-პასუხით.

ვის უფრო უჭირს ოჯახში, ახალგაზრდა რძალს თუ დედამთილს? ალბათ ახალგაზრდა რძალს! მას ხომ ქმრის ოჯახში ურთიერთობებისა და ტრადიციების განსხვავებული სისტემა ხვდება. აქ სხვანაირად ხვდებიან სტუმარს, სხვანაირად ანაწილებენ ბიუჯეტს, თავისებურად ესმით ხუმრობა, სხვაგვარი დამოკიდებულება აქვთ ჩაცმა-დახურვისა და კოსმეტიკის მიმართ. ერთი სიტყვით, რძალი უნდა შეეგუოს მისთვის ახალ მიკროგარემოს, მაგრამ სოციალური ადაპტაცია შესაძლოა დიდხანს გაგრძელდეს. ეს ხომ დამოკიდებულია არა მარტო რძლის ხასიათზე, ტემპერამენტზე, კულტურის დონეზე, არამედ თვით ოჯახის წევრთა პიროვნულ თვისებებზე. როგორც წესი, რძალს ურთიერთობა განსაკუთრებით დედამთილთან უჭირს, ამიტომ თვით დედამთილმა უნდა შეუწყოს ხელი ოჯახის ახალი წევრის სოციალურ ადაპტაციას, ახალ გარემოსთან შეგუებას. ეს კი მას შეუძლია, თუკი სიყვარულით, პატივისცემით, ტაქტიანად, წყენინებისა და მკვახე სიტყვების გარეშე მიუთითებს რძალს...

საერთოდ, უმჯობესია დედამთილმა რძალს თავიდანვე გააცნოს ოჯახის ტრადიციები და ოჯახში გაბატონებული სოციალური ნორმები.

რძლის ოჯახში მოსვლის პირველ პერიოდში არ არის აუცილებელი დედამთილმა რძალს საოჯახო დავალებები მისცეს, უმჯობესია რძალმა საკუთარი ინიციატივით იმოქმედოს, ადაპტაციის შემდგომ ეტაპზე კი დედამთილმა ალბათ რძალს ზოგიერთი მოვალეობა უნდა გადააბაროს...

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მარტო დედამთილის მცდელობა სასურველ შედეგს არ მოგვიტანს, თუ თვით რძალმაც არ გამოიჩინა დედამთილთან კეთილგანწყობილი ურთიერთობების სურვილი! მხოლოდ ურთიერთგაგება და ურთიერთპატივისცემა არის მტკიცე, ძლიერი და მშვიდი ოჯახის არსებობის საფუძველი.

რძლის მოსვლას ოჯახის წევრთა ურთიერთობებში გარკვეული ცვლილებები მოსდევს, მაგრამ, როცა ოჯახში ახალი სიცოცხლე ჩნდება, ცვლილებები უფრო შინაგანი და ღრმაა! ბავშვის დაბადება აძლიერებს ცოლქმრულ სიყვარულსა და ერთგულებას, კიდევ უფრო აახლოებს ოჯახის წევრებს... ოჯახში დიდი სიხარული სუფევს... ცა მოწმენდილია. მოულოდნელად კი „მეხი გავარდება!“

რა მოხდა?

გაჩნდა კონფლიქტების ახალი წყარო, — ყველასათვის სასურველი ბავშვი!

ბავშვის მოვლა-პატრონობა, ჩაცმა-დახურვა, კვება, გართობა, აღზრდა და სწავლა ოჯახის წევრთა, განსაკუთრებით რძლისა და დედამთილის დაუსრულებელი დავის, კინკლაობის, ბუზღუნის, გაბუტვისა და ხშირად ჩხუბის მიზეზიც კი ხდება. ასეთ შემთხვევებში თუ კონკრეტულ სიტუაციას არ გაეცნობი, ყველაზე გამოცდილ, დაბრძენებულ ფსიქოლოგსაც კი გაუჭირდება რჩევა-დარიგების მიცემა. ზოგადად კი შეიძლება ითქვას, რომ, თუკი რძალსა და დედამთილს შორის დავა ბავშვის აღზრდაზე სისტემატურ ხასიათს ატარებს, ეს უპირველეს ყოვლისა თვით ბავშვს აყენებს გამოუსწორებელ ზიანს! იმ შემთხვევაში, როცა ბავშვს დედა და ბებია განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებენ, ბავშვის ჯერ კიდევ სუსტი, ჩამოუყალიბებელი ფსიქიკა განიცდის მუდმივი, ძლიერი გამღიზიანებლების ზემოქმედებას, რაც ფსიქიკის არასასურველ ცვლილებებს იწვევს და ფერხდება ბავშვის ზნეობრივი აღზრდა! იგი ცბიერი, ფლიდი, ორპირი, უპრინციპო იზრდება...

ცხადია, არც ერთი დედა ან ბებია არ ისურვებს იხილონ თავიანთი აღსაზრდელი ამგვარ პიროვნებად! უმალ ერთმანეთს შეუთანხმდებიან, გონივრულად გადაწყვეტენ სადავო საკითხებს, მაგრამ როცა ამას ვერ მოახერხებენ, მაშინ მშობელთა პედაგოგიზაციის კაბინეტი დახმარებისათვის მზად არის.

მანანა აგულაძე



# ერთგულების სიმბოლო

„ღმერთები იქ ცხოვრობენ, სადაც ქალებს ეთაყვანებიან“.

ძველი ინდური თქმა

ინდური ხუროთმოძღვრება მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი და მრავალფეროვანია. მან დროთა განმავლობაში შეითვისა და ეროვნულ ხასიათში გადახარშა შუა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების იდეები და პრინციპები. ბრწყინვალე ძეგლები შეიქმნა შუასაუკუნეებში, განსაკუთრებით დიდ მოგოლთა ბატონობის დროს, უდიდესი მშენებლები იყვნენ იმპერატორები აკბარი და შაჰ-ჯეჰანი.

მდინარე ჯამნის დასავლეთით, აკბარმა ააგო ქალაქი აგრა, რომელსაც აკბარ-აბადს უწოდებდნენ. ამ ქალაქის მშვენებაა ღვთაებრივი სილამაზის მქონე დედოფლის მუმთაზ მაჰალის განსასვენებელი აკლდამა თაჯმაჰალი, რომელსაც ინდურ-მუსულმანური ხუროთმოძღვრების გვირგვინს უწოდებენ. მისი აგების ისტორია ასეთია.

იმპერატორმა შაჰ-ჯეჰანმა („ქვეყნიერების ხელმწიფე“) 1611 წელს ცოლად შეირთო არჯუმანდ ბანუ ბეჰამი, წარმოშობით სპარსელი, დიდი ვეზირის ასაფ ხანის ულამაზესი ქალიშვილი. მამამთილმა ჯაჰან გირმა („სამყაროს მპყრობელმა“), თავის რძალს — „სასახლის გვირგვინის“ — მუმთაზ მაჰალის ტიტული უბოძა. როგორც თანამედროვენი შენიშნავენ, მან ეს წოდება თავისი სილამაზისა და სიბრძნის წყალობით დაიმსახურა. მამიდის ნური ჯეჰანის ხელშეწყობით, მუმთაზ მაჰალი, სულ მოკლე დროში სამეფო კარზე დაწინაურდა. მას დიდი მოგოლთა სახელმწიფო ბეჭედი „მუხრ-ი-დაკი“ ებარა. იმდროინდელი პოეტები ლექსებს თხზავდნენ, ხოტბას ასხამდნენ მის სილამაზესა და ნათელ გონებას. ფიზიკური და გონებრივი მონაცემებით, კეთილი გულითა და სათნოებით, ქალური კდემამოსილებითა და ქმრისადმი თავდადებით გამორჩეული მუმთაზი, ქალის იდეალად იქცა მთელს ინდოეთში. იმპერატორი შაჰ-ჯეჰანი ბევრ საჭირბოროტო, საიდუმლო და სახელმწიფო საქმეებს ანდობდა მას, ეთათბირებოდა თავის მშვენიერ მეუღლეს და მისგან ბევრ სასარგებლო რჩევას ღებულობდა. მუმთაზის კეთილ სიტყვას სასიკვდილოდ განწირულნიც უხსნია. მუმთაზი მთელი თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე გვერდით ედგა იმპერატორს და მათი სიყვარული გულწრფელი და ძლიერი იყო.

ინდოეთში მყოფი ცნობილი ფრანგი ექიმი ფრანსუა ბერნიე (XVIII საუკ.) გადმოგვცემს ამ ქვეყანაში გახმაურებულ, იმპერატორისა და დედოფლის სიყვარულის ამბავს: იმპერატორი ისე ძლიერ იყო შეყვარებული მეუღლეზე, რომ სხვა ქალებს ყურადღებას არ აქცევდა. მართლაც რომ ულამაზესი ცოლი ჰყავდა შაჰ-ჯეჰანს, დაასკვნის ბერნიე.

1630 წელს იმპერატორი შაჰ-ჯეჰანი აგრიდან აჯანყების ჩასაქრობად გაემგზავრა. ეს იყო ალბათ პირველი შემთხ-

ვევა, როდესაც ცოლ-ქმარი დაშორდნენ ერთმანეთს. 39 წლის მუმთაზს . საპატიო მიზეზი ჰქონდა. ექიმებმა ნება არ დართეს ფეხმძიმე დედოფალს ხანგრძლივ მოგზაურობაზე. მაგრამ ორი კვირაც არ იყო გასული, რომ იმპერატორის ლაშქარს დედოფლის ამალა წამოეწია. გახარებული შაჰ-ჯეჰანი ზეიმით შეხვდა მეუღლეს, თუმცა ეს ზეიმი სამგლოვიარო პროცესიად გადაიქცა. მუმთაზი გადაჰყვა მეექვსე ქალიშვილზე გაუპარა-აგაბეგამზე ნაადრევ მშობიარობას. სიკვდილის წინ მუმთაზმა მტკიცე ფიცი ჩამოართვა მეუღლეს: იმპერატორს არ უნდა შეერთო ცოლი და აეგო მის საფლავზე განუმეორებელი აკლდამა, რომლის ბადალიც ქვეყნიერებაზე არა იქნებოდა რა.

იმპერატორის მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა. რამდენიმე კვირა არავის არ იღებდა, სამეფოში დიდი გლოვა გამოაცხადა, აიკრძალა სიმღერა-თამაშობანი, მუსიკის დაკვრა და სამკაულების ტარება. ბერნიეს ცნობით შაჰ-ჯეჰანს უცდია თვითმკვლელობით დაემთავრებინა სიცოცხლე.

მეუღლის სურვილის შესასრულებლად, შაჰ-ჯეჰანმა სასახლეში მოიპატიჟა იმ დროისათვის ცნობილი ხუროთმოძღვრები: სპარსეთიდან, თურქეთიდან, არაბეთიდან და თვით ინდოეთიდანაც. იმპერატორი ასეთ წინადადებას აძლევდა მშენებლებს: უნდა შექმნილიყო ისეთი ძეგლი, რომელიც ხუროთმოძღვრული ენით გადმოსცემდა ქალურ სინაზესა და სიყვარულის იდეას. ამავე დროს, იგი განუმეორებელი უნდა ყოფილიყო ამგვარი დანიშნულების სხვა აკლდამებისგან...

ხუროთმოძღვრებმა სხვადასხვა პროექტები წარუდგინეს იმპერატორს, მაგრამ უკეთესზე უკეთესს მოითხოვდა ქვრივი შაჰ-ჯეჰანი. ბოლოს მისი არჩევანი ხუროთმოძღვარ მოჰამედ ისა ეფენდის პროექტზე შეჩერდა, რადგან იმპერატორის აზრით, იგი ყველაზე უფრო სრულყოფილად გამოხატავდა დედოფლის სურვილს.

სამეცნიერო ლიტერატურაში თაჯ მაჰალის ავტორად მოჰამედ ისა ეფენდია მიჩნეული, თუმცა ზოგჯერ სხვა ხუროთმოძღვრებსაც ასახელებენ.

თაჯ მაჰალის მშენებლობაზე განთქმული ოსტატები იყვნენ მოწვეული სხვადასხვა ქვეყნებიდან. მათ მშენებლობისთვის თეთრი მარმარილო ჩამოიტანეს მაკრანიდან და რივალიდან, წითელი სილა-ქვა — იტეპჰურ სიკრიდან, ფირუზი — ტიბეტიდან, მარჯანი — ინდოეთის ოკეანიდან, ალმასები — პანიდან (ინდოეთი), ბროლი — ჰაიდარაბადიდან, მალაქიტი — ურალიდან...

ჩვიდმეტი წელი შენდებოდა თაჯ მაჰალი და 1648 წელს დასრულდა ადამიანის მარჯვენითა და გონებით შექმნილი ეს არაჩვეულებრივად დიდებული და საოცრად ლამაზი ძეგლი, რომელიც 60 მილიონი რუპია დაჯდა.

მდინარე ჯამნას მარჯვენა ნაპირზე,

## იუმორი

### განაწილება

— უბრალოდ სასაცილოა, — თქვა სხდომაზე საახალწლოდ ბინების გამნაწილებელი კომისიის თავმჯდომარემ, — გასანაწილებლად ხუთი ბინა მოგვცეს, კომისიაში კი ექვსნი ვართ.

### უნდობლობა

ქალბატონმა დელბასტმა საახალწლოდ მიწვეულ მომღერალს მიმართა:

— თქვენ ახლავე დაიწყებთ სიმღერას, თუ დააცდით სტუმრებს, ცოტა რომ გამხიარულდნენ!

### უტყუარი ნიშანი

მოახლემ დიასახლისთან მიირბინა და შეშინებულმა შესძახა:

— ქალბატონო! ქალბატონო! მუსიე ცუდად არის!... იატაკზე დავარდა, ხელში რაღაც ანგარიში აქვს ჩაკუმშული და ხმამაღლა კვნესის.

— ჩინებულია! მაშასადამე, ჩემი საახალწლოდ შეკვეთილი კაბა უკვე მოუტანიათ!

### გაუგებრობა

ახალ წელს მეგობრის ოჯახში სტუმრად მიწვეულმა ბატონმა მიულერმა ყავის დალევის შემდეგ ჩიბუხი ამოიღო და დიასახლისს ჰკითხა:

— ნებას დამრთავთ, თამბაქო რომ მოვწიო?

— მოიქეცით ისე, როგორც საკუთარ სახლში, — გაუღიმა ქალმა თავაზიანად.

— საწყენია, — თქვა მიულერმა და ჩიბუხი ისევ ჯიბეში ჩაიდო.

### დაუდევრობა

საახალწლო შეხვედრაზე რომ არ დაგვიანებოდათ, პიერი და ჰილმერი ავტომობილს მთელი სიჩქარით მიაქროლებდნენ. ისინი რკინიგზის გადასასვლელს მიადგნენ.

— შენ მარჯვნივ იყურე, — უთხრა სხაპასხუპით პიერმა თანამგზავრს, — მე კი მარცხნივ, მატარებელს რომ არ შევასკდეთ!

რამდენიმე წამში საშინელი გრუხუნი გაისმა და როცა მეგობრებმა მანქანის ნამსხვრევებიდან გამოაღწიეს, ჰილმერმა თქვა:

— წინაც უნდა გაგვეხედა, მაშინ შევამჩნევდით, რომ შლაგბაუმი დაკეტილი ყოფილა.

მარმარილოს მართკუთხა ტერასზე, აღმართულია 75 მეტრი სიმაღლის თაჯ მაჰალი, მას 24 მეტრი სიმაღლის გუმბათი ხურავს და ხუთკამარიან შენობას ოთხი მინარეთი ამშვენებს. მისი ფასადი მდიდრულად არის გაფორმებული აღმოსავლური ორნამენტით. პორტალი თაღოვანია, ისრისებური, კუთხეებში აჟურული ჩუქურთმით. მისი კედლები დაჭრელებულია და სარკესავით გაკრიალებული აკლდამა წარმოდგენილი ოთხი მინარეთის კომპოზიციით, წყლის აუზი — შადრევნებით, ყვავილებით და კვიპაროსის ხეებით სავსე ბაღით, ჰმნიან ერთ მთლიან, ლამაზ ანსამბლს.

აკლდამის ცენტრალურ ადგილას მარმარილოს ორი მოჩუქურთმებული სარკოფაგია — მუმთაზ მაჰალისა და შაჰ-ჯეჰანის, თვით ნეშტები კი სარდაფშია დასვენებული.

ვიდრე თაჯ მაჰალის მშენებლობა დამთავრდებოდა, შაჰ-ჯეჰანი საკმაოდ მოხუცდა, მისი ტახტი ვაჟიშვილმა აურენგზებმა („ტახტის მშვენება“) ჩაიგდო ხელში და მამა აგრას ციხეში გამოჰკეტა. შაჰ-ჯეჰანი 15 წელი იჯდა აგრის ციხეში და თითქმის დაბრმავდა. შვილმა მამის ერთადერთი სურვილი დააკმაყოფილა, იგი დაკრძალა თაჯ მაჰალში, მუმთაზის გვერდით.

ბერნიე თაჯ მაჰალს განსაცვიფრებელ აკლდამას უწოდებს, ინდოელი მეცნიერის ბ. ლუნიას აზრით, თაჯ მაჰალი ყველაზე სრულყოფილად გამოხატავს ცოლქმრულ სიყვარულს.

ინდოეთში ყოფნისას თაჯ მაჰალის მშენებლობასთან დაკავშირებით კიდევ ერთი საინტერესო ეპიზოდი გადმოგვცეს. თითქოს დედოფალი უყვარდა ახალგაზრდა ინდოელ ხუროთმოძღვარს. როდესაც მუმთაზი გარდაიცვალა, იგი მივიდა იმპერატორთან და სთხოვა, თუნდაც უბრალოდ კალატოზად აეყვანათ თაჯის მშენებლობაზე. იგი დღე და ღამ დაუზოგავად შრომობდა და მუშაობაში ჰკლავდა თავის უნუგეშო სიყვარულს. განსაკუთრებით გამოუჩენია თავი დედოფლის სარკოფაგის მოხატვა-მოკაზმვაში.

როდესაც ათვალიერებ თაჯ მაჰალს და გონებაში ადარებ გადმოცემას, სიხარულს იწვევს ახალგაზრდა ოსტატის უნუგეშო და უბედნიერი სიყვარული. ვინ იცის, მდინარე ჯამნას ბობოქარ ტალღებს რამდენჯერ გაჰყოლია მიუწვდომელი სიყვარულით შეპყრობილი ახალგაზრდა ხუროთმოძღვრის ოხვრა. იქნებ, ეს მარგალიტები მუმთაზის სარკოფაგს ირგვლივ რომ ეკვრის, ბედშავის ცრემლებია მძივებად გადაფრქვეული.

საოცარია უბადლო თაჯ მაჰალი, თეთრი მარმარილოს ლამაზი აკლდამა, რომელსაც თავის ცივ მკლავებში მოუმწყვდევია მარადიული ძილით შეპყრობილი უმშვენიერესი დედოფალი მუმთაზ-მაჰალი.

გურამ გასიტაშვილი

## როგორც ალხანა...

საახალწლო წვეულების მეორე დილას ტელეფონმა დარეკა.

— მომიტევე, ძვირფასო, კარგად მახსოვს, წინადადება მოგეცი, რომ ცოლად გამომყოლოდი, მაგრამ დამავიწყდა, თანხმობა მომეცი თუ არა?

— მე ის მახსოვს, კი-მეთქი რომ ვთქვი, მაგრამ ის აღარ ვიცი, შენ გითხარი თუ სხვას.

## გაფრთხილება

საახალწლოდ ჩემი სიდედრი ჩამოდის! — უთხრა ლორდმა თავის მზარეულს, — აი მისი საყვარელი კერძების სია!

— დიახ, თქვენო ბრწყინვალებავ!

— და ერთი მათგანიც თუ მოგიმზადებიათ, დაუყოვნებლივ მოგხსნით!

## დირექტორის კაბინეტში

— თქვენთან უკვე ექვსი წელიწადია ვმუშაობ და არასოდეს ხელფასის მომატება არ მითხოვია. იქნებ ამ ახალი წლიდან...

— სწორედ იმიტომ იმუშავეთ ამდენი ხანი, რომ ხელფასის მომატება არ გითხოვიათ!

## თვითკრიტიკა

საახალწლოდ ქალაქში ჩასულმა ჰანს ვინკლერმა რესტორანში ტელეფონების წიგნი მოითხოვა, უნდოდა ერთი ძველი ნაცნობის მისამართი დაეზუსტებინა.

— სამწუხაროდ არ გვაქვს, — მოუბოდიშა ადმინისტრატორმა, — მაგრამ შემიძლია მოგიტანოთ საჩივრის წიგნი. იქ თითქმის მთელი ქალაქის მისამართებია ჩაწერილი.

## ნააჭალწლევს

მამა: რატომ არ მიესალმე შენს მასწავლებელს?!

შვილი: ახლა ხომ არდადეგებია?!

## წიგნების მაღაზიაში

— ნაახალწლევს იტალიაში ვაპირებ წასვლას ორი კვირით და მეგზური ხომ არ გექნებათ?

— ინებეთ! აი ეს უკანასკნელი გამოცემაა, რომელსაც ეწოდება „ათი დღე იტალიაში“.

— ჩინებულია, მაგრამ დანარჩენ ოთხ დღეს რა უნდა ვქნა?!

## უკმაყოფილება

საახალწლოდ ქმარმა შინ თუთიყუში მოიყვანა და ცოლს უთხრა:

— აუქციონზე ამაში ორასი ფრანკი გადავიხადე. ათას კაცს უნდოდა ეყიდა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ არც კი ვიცი, ლაპარაკობს თუ არა?

— როგორ თუ?! — წამოიძახა უკმაყოფილოდ თუთიყუშმა, — მაშ აუქციონზე ფასს ვინ უწევდა?!

## დიალოგი

— დარწმუნებული ვარ, რომ ორი ერთნაირად მოაზროვნე ადამიანი არ არსებობს.

—აგრე არ იტყოდი, ის საჩუქრები რომ გენახა, რომლებიც საახალწლოდ მომართვეს!

სილამაზის ინსტიტუტის შვეიცარმა ფულის შოვნით დიდად გაითქვა სახელი კოლეგებში.

— როგორ ახერხებ ამდენი ფულის დაცინცვლას? — ჰკითხა საახალწლოდ სტუმრად მისულმა მეგობარმა.

— სულ უბრალოდ, — როდესაც კლიენტი მოდის შემდეგი სიტყვებით ვეგებები: „გთხოვთ, ქალბატონო!“ ხოლო წასვლისას ვეუბნები: „ნახვამდის, ქალიშვილო!“ — მიუგო მან და ჭიქაში შამპანური დაუსხა.

გერმანულიდან თარგმნა
შოთა ამირანაშვილმა

# კულინარია

საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან ახალგაზრდა დიასახლისები გვთხოვენ შევახსენოთ საცივის მომზადების წესი. განმეორებით გთავაზობთ საჩხერის I საშუალო სკოლის დამსახურებული მასწავლებლის თამარ აბაშიძე-ქავთარაძისეულ (საჩხერულ) საცივს და ხაჭაპურს, რაც 1986 წლის მეცხრე ნომერში იყო მოთავსებული.

## საცივი

კარგად გასუფთავებულ-გარეცხილ ინდაურს (ან ქათამს) მოხარშავთ ისე, რომ არ გადაგეხარშოთ. ამოიღებთ, მოაყრით ცოტა მარილს და რომ შეგრილდება, დაჭრით (წესის მიხედვით). ნახარშს მოხადეთ ცხიმი, მოშუშეთ ამ ცხიმში ძალიან წვრილად დაჭრილი 4-5 თავი ხახვი. შემდეგ მოათავსეთ ბულიონში და ხარშეთ, ვიდრე მთლად არ ჩაიშლება ხახვი.

ხორცსაფქვავ მანქანაში 4-5-ჯერ გატარებულ 1 კგ ნიგოზს (ქათმისთვის 500 გრ). კარგად დანაყულ 5-6 კბილ ნიორს (ან თქვენი ვარაუდით), პუდრად ქცეულ ხმელ ქინძს ყვითელ სუნელს, უცხო სუნელს, მიხაკ-დარიჩინს (ყველაფერს თითო ჩაის კოვზს): 1 კონა ახალ ქინძს (კარგად დანაყულს და მარლაში გაწურულს) და 1 სუფრის კოვზ პურის ფქვილს, აურევთ ერთმანეთში და წამოადუღებთ 10-15 წუთის განმავლობაში. საცივი რომ ნაზი და სასიამოვნო გამოვიდეს, ნიგვზიან წვენს გავწურავთ საცერში, დაასხამთ ქვაბში ჩალაგებულ დაჭრილ ხორცს და ისევ წამოადუღებთ. 5 წუთის შემდეგ გადმოდგამთ ცეცხლიდან ქვაბს, გააცივებთ და შემდეგ დაუმატებთ 1-2 სუფრის კოვზ თეთრ ძმარს.

## იმერული ხაჭაპური

საფუარზე მოზელილ და კარგად ამოსულ პურის ცომს გააბრტყელებთ, ცომის გულში მოათავსებთ ყველის გუნდას, ცომს მოუკრავთ პირს, გააბრტყელებთ, თუ გნებავთ, ზემოდან გადაუსვამთ ათქვეფილ კვერცხს, დაჩხვლიტავთ ჩანგლით ან განსაკუთრებული ჩხირით, მოათავსებთ გახურებულ კეცზე, დაახურავთ ასევე გახურებულ კეცს, რომელსაც დააყრით ზემოდან ნაკვერჩხალს და გამოაცხობთ (შეგიძლიათ კეცები გაზქურაში გაახუროთ და გაზქურაშივე გამოაცხოთ).

სახაჭაპურე ყველი დაალბეთ გამდინარე ცივ წყალში ან ხშირად უცვალეთ წყალი. თუ ყველი ძალიან მარილიანია, 5-10 წუთი ჩაალბეთ ცოტა ძმრიან წყალში. მარილგაცლილი, დამბალი ყველი კარგად გაწურეთ და შეურიეთ რამდენიმე კვერცხი. სასურველია ცომის გუნდაზე ოდნავ მეტი იყოს ყველის გუნდა, თუ არ არის ამის საშუალება, მაშინ აიღებთ თანატოლ გუნდებს.

* * *

არიან ადამიანები, რომლებიც თავს არიდებენ ნამცხვრებს (ცომეულს) ან საერთოდ ძალიან არ უყვართ ტკბილი და იშვიათად მოენატრებათ ხოლმე. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ტკბილის მირთმევის სურვილი გაგიჩნდებათ, შეგიძლიათ სახელდახელოდ მოამზადოთ ხაჭოს კრემი.

## ხაჭოს კრემი

300 გრამი ხაჭო ათქვიფეთ მიქსერში ან ძალზე კარგად დაზილეთ ხის კოვზით. შეურიეთ 50 გრამი შერბილებული კარაქი, 2-3 სუფრის კოვზი არაყანი, შაქარი და ვანილი გემოვნებით. მცირეოდენი ქიშმიშიც ძალიან მოუხდება. თუ გნებავთ სტუმარს გაუმასპინძლდეთ, მოათავსეთ შესაფერის ლამბაქზე ან ნაყინისთვის განკუთვნილ ჭურჭელში და შეალამაზეთ დაფხეკილი შოკოლადით.

# რჩევები

პარკში ან ჭურჭელში რომელშიდაც ინახება მჭადისა და პურის ფქვილი ან ბურღული, მოათავსეთ რამდენიმე დაკბილული და კანგაცლილი ნიორი. ამ პროდუქტებს თუ დიდხანს მოუწევს შენახვა, დროდადრო გაცერით, მოათავსეთ ახალ პარკში და ნიორიც ახალი მოუღაგეთ.

*

წათხის გარეშე ქვაბში შენახული ყველი არ გამოშრება, თუ გვერდებზე რამდენიმე კვნიტ შაქარს მოულაგებთ.

*

როგორც ცნობილია, დაბეჭდილი ზეთი ორ თვემდე მეტ ხანს არ ინახება, თავმოხდილი — ერთ თვეს. და მაინც, გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ იგი უფრო მალე ფუჭდება. ამიტომ, სასურველია გახსნილი ზეთი შეინახოთ გრილ და ბნელ ადგილზე. უკეთესია მაცივარში.

*

ტაფიდან აშიშხინებული ცხიმის წვეთები რომ არ შემოგესხათ, ვიდრე ტაფის ძირზე ცხიმს მოათავსებთ, მოაფრქვიეთ მცირეოდენი მარილი.

*

ჩაიდნის მუდმივი ადგილი თითქმის გაზქურაზეა. სადილის კეთების დროს ჩაიდანი დაზღვეული არ არის ქვაბში მოთუხთუხე კერძისა და ტაფაზე მოშიშხინე ცხიმის შხეფებისაგან. პირველად ეს შეუმჩნეველია, მაგრამ მერე მას უჩნდება ლაქები, რომელთა მოცილებაც გაგიძნელდებათ. ამიტომ ჯერ ძმრიანი ნაჭრით გაწმინდეთ, შემდეგ როგორც წესი, გარეცხეთ საპნიანი ჩვრით ან „ნედეთი".

*

სამზარეულოში საქმიანობის დროს დიასახლისებს ფრჩხილები და თითები უშავდებათ, რაც შეიძლება ადვილად გაისუფთაოდ ლიმონით ან ლიმონმჟავათი.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, განყოფილებების: მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის — 93-25-64, ლიტერატურისა და ხელოვნების — 93-98-53, კულტურისა და ყოფაცხოვრების — 93-98-50, მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის — 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, ტექნიკური რედაქტორის — 93-98-58, საერთო განყოფილების — 93-98-54. მასალები გადაეცა ასაწყობად 6.12.89 წ. ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.01.90 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.8. ტირაჟი 177.000. შეკვ. 2623. უე 04010. Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 5,8. ფასი 30 კაპ.

# საქორწილო კაბა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარიზში გაიმართა ზამთრის სეზონის ტანსაცმლის კოლექციის ჩვენება. საინტერესო მოდელები წარმოადგინა ცნობილმა ფრანგმა მემოდელემ ივ-სენ ლორანმა, რომლის საქორწილო ტანსაცმელი შედგენილია წითელი ფარჩის, მწვანე კაბისა და მუსლინის ვუალისაგან.



სურათზე: მემანეკენე სილვია წარმოადგენს ივ-სენლორანის საქორწილო კაბას.

6²⁹/16

ინდექსი 76178

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ფასი 30 კაპ.